საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 21 ოქტომბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, რომ... გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედ... და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 239 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 239

თავზარდაცემული მეუღლე ნადია თავისი პაწია შვილი ეთერით, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის ძვირფასს და საყვარელ
**ანდრო (ვანიჩკა) სოლომონის ძე სვანიძის**
უდროვოთ და ტრაღიკულათ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ფოთში სამშაბათს 4 საათზე. (2733—2—2)

გულდათუთქული სიდედრი ელპიტი შვილებით: ფედო და კოლიათი, ბებია ეკა, ბიძები: სამსონ, ისაკო, ვასო და ვანო ვანიძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასს და საყვარელ სიძის
**ანდრო (ვანო) სოლომონის ძე სვანიძის**
ტრაღიკულათ გარდაცვალებას. (2733—2—2)

ღრმათ დამწუხრებულნი დეიდა ვერიჩკა და ბიძა გიორგი თალაკვაძეები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ
**ანდრო (ვანო) სოლომონის ძე სვანიძის**
უდროოთ და ტრაღიკულათ გარდაცვალებას. (2733—2—2)

გულდამწვარი დედა ნატალია შვილებით: ნესტორ მეუღლით ელენა იოსების ასული ჩიხლაძისა, პეტრე და პაშა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვისს ძვირფას და საყვარელ შვილის და ძმის
**ანდრო (ვანო) სოლომონის ძე სვანიძის**
უდროოთ და ტრაღიკულათ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ფოთში სამშაბათს 4 საათზე. (2733—2—2)

თავზარდაცემული სიძე ელიზბარი მიხეილის ძე ჩიქავა მეუღლით ოლღა სოლომონის ასული სვანიძის, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ მათთვის ძვირფას ძმის
**ანდრო (ვანო) სოლომონის ძე სვანიძის**
უდროოთ და ტრაღიკულათ გარდაცვალებას. (2733—2—2)

გულდამწვარი დედა სალომე, ძმები: არკადი, დიომიდე, სევერიან, და—ნინა; ბიძაშვილები: კოლია, კალენიკე ჩანჩალეიშვილები და სიძე ალექსანდრე ჯაფარიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს
**პარასკევას** კონსტ. ასულის **ჩანჩალეიშვილის**
უდროვოდ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს, 22 ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2741—2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ბიძა დიმიტრი, ბიცოლა ანნა, ბიძაშვილები: აკაკი და შალიკო შენგელიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 19 ოქტომბერს, ღამის 2 საათზე უდროვოდ გარდაიცვალა
**პარასკევა** კონსტ. ასული **ჩანჩალეიშვილი**
დაკრძალვა ოთხშაბათს, 22 ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2741—2—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: კონსტანტინე სოფრომის ძე ყვავაძე, მღვდ. მიხეილ გიორგაძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ პირველის უსაყვარულესი და დაუვიწყარი უდროვოთ გარდაცვლილ მეუღლის, მეორე საყვარელი შვილის და მესამენი დაუვიწყარი დის რკინის გზის სკოლის მასწავლებლის
**ნ ი ნ ა ს**
სულის მოსახსენებლათ წლის თავზე 24 ოქტომბერს (ახ. სტ.) დღით ხუთშაბათს, 11 საათზე, ხაშურის რკინის გზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა, პანაშვიდი კი სასაფლაოზე. (ფ. 3—1)

## ჩვენი გზა

დენიკინელთა გაზეთ „დიდ რუსეთში“ მოთავსებულია ბაასი საქართველოსთვის კარგად ცნობილ ინგლისელ გენერალ კორთან, რომელმაც აგერ ახლა დასტოვა ჩვენი რესპუბლიკის საზღვრები.

თავის ინტერვიუში გენერალი შეხებია საქართველოსა და ადერბეიჯანის საკითხს და ამბობს—რუსეთის საზოგადოებაში განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს ჩვენი პოლიტიკა საქართველოსა და ადერბეიჯანში. მოხალისეთა ჯარი ბრალს გვდებს თითქო ჩვენ ტფილისსა და ბაქოში დამოუკიდებლობის ნიაღაგს ვაღრმავებთ და რუსეთის განთლიანების იდეას ვებრძვითო. ასეთი აზრიო, განაგრძობს გენერალი, სრულიად მოკლებულია სიმართლეს. რუსეთის საკითხში ჩვენ ხელ-ფეხ შეკრული ვართ. ინგლისში დღითი დღე ძლიერდება მოძრაობა რუსეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ; ამიტომ ლოიდ ჯორჯმა რომ გაბედოს თქვენი განაპირა ქვეყნების იარაღით თქვენზე შეერთება, ეს ინგლისში საშინელ კრიზისს გამოიწვევდა. ამიტომ ჩვენ ჯერჯერობით სხვაგვარ პოლიტიკას ვაწარმოებთ ამ ქვეყნებში—ვიცავთ აქ წესიერებას, სანამ რუსეთი არ გაჯანსაღდება, არ დადგება საკუთარ ფეხზე და სრულიად ადვილათ, ხუმრობით, არ შემოიერთებს ყველა იმ კუთხეს, რომელიც მას ჩამოშორდა. ეხლა რომ ჩვენ საქართველო დავტოვოთ, მაშინვე იქ შეიჭრებიან ოსმალთა და ქურთთა ურდოები, ანდა მოხალისეთა ჯარს გაუჩნდება ახალი ფრონტი, რომელიც სახუმრო საფრთხეს არ წარმოადგენს. საქართველოსა და ადერბეიჯანის კითხვა არც ისე ადვილი და მარტივია, ვინაიდან რაიმე საგრძნობი რყევის დროს ბოლშევიკური ანარქია იფეთქებს. სანამ საქართველო დაკავებული აქვს (оккупируетъ) ინგლისელებს, გენერალ დენიკინს შეუძლია დამშვიდებით იყვეს თავის ზურგის შესახებ. კიდევ მეტი, ჩვენ საქართველოს ვაჩერებთ და თქვენს წინააღმდეგ აგრესიული პოლიტიკის წარმოების ნებას არ ვაძლევთ. ამისდა მიუხედავათო, დასძენს კორი, რუსები მაინც უნდობლათ გვიყურებენ და არ უნდათ გაიგონ, რომ ჩვენ მათი ჭეშმარიტი მეგობრები ვართ.

ეს ბაასი დაბეჭდილია დენიკინელთა გაზეთში და ძნელია იმის თქმა, რამდენათ სწორათაა გადმოცემული გენ. კორის ნაბაასევი. ხოლო თუ ყველაფერი ეს მართალია, საქართველოს დემოკრატია ამის შესახებ შემდეგს მოახსენებს ყველა თავის მტერ-მოყვარეს.

პირველ ყოვლისა, ერთი ფაქტიური შესწორება — საქართველოს, დღიდან თავის დამოუკიდებლობისა, არავითარი გარეშე ძალის ოკუპაცია არ გამოუცდია. იყო საქართველოში გერმანიის ჯარის ნაწილები, ბინადრობდენ აქ ერთ ხანს ინგლისის ჯარებიც, მაგრამ ეს იყო არა ოკუპაცია, არამედ დროებითი ბინადრობა რესპუბლიკის სუვერენულ მთავრობის ნებართვით და განსაზღვრულ ხელშეკრულების ძალით.

საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაცია მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, რომ ის ვისმეს იარაღით ხელში დაეპყრა. და მომავალშიაც თუ ვისმეს სურს მისი ოკუპაცია, უნდა იცოდეს, რომ ამისთვის საჭიროა იარაღით ხელში ჩვენზე თავდასხმა და საქართველოს დემოკრატიის გვამზე გადაბიჯება. ხოლო, რა ფასათ დაუჯდება ეს, თვით შემომსევმა განზომოს.

ინგლისელმა ჯარმა რომ საქართველო დასტოვოს, იქ შეიძლება ბოლშევიკურმა ანირქიამ იფეთქოსო:

ვერ დავეთანხმებით ვერც ამაში პატივცემულ გენერალს. ბოლშევიკური ანარქიის კრიზისი უკვე გადაიტანა საქართველომ და მისი დემოკრატიის ღირსება და სიძლიერე სწორეთ იმაშია, რომ ამისათვის მას ვარიაგები არ მოუწვევია და თავის შინაურ საქმეებში უცხო ძალას არ დაყრდნობია. ამ მხრით საქართველოს მთავრობა, სრულიად დამშვიდებით უყურებს მომავალს, ვინაიდან საქართველოს დემოკრატიის სახელმწიფოებრივი შეგნება გასაქანს არ მისცემს რუსულ-ქართულ პუგაჩოვშჩინას. და თუ ამისდა მიუხედავათ საქართველოს მთავრობამ ამიერ-კავკასიის დანარჩენ რესპუბლიკებთან ერთათ ამას წინათ წინადადება მისცა ინგლისის მთავარ-სარდლობას დროებით თავიანთი ჯარის ნაწილები დაეტოვებიათ აქ, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ამას რამდენიმეთ მოითხოვდა საერთაშორისო მდგომარეობა და არა შინაური ანარქიის შიში.

არც ისაა სიმართლესთან შეთანხმებული, თითქოს საქართველო დენიკინის წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებს და მას მხოლოდ გარეშე ძალა აჩერებდეს. რუსეთის კითხვაში ჩვენი პოზიცია მეტათ ნათელი და აშკარაა. ვერც დენიკინის კონტრ-რევოლიუცია და ვერც ბოლშევიკთა ანარქია ჩვენს სიმპატიას ვერ დაიმსახურებს, მაგრამ არც ერთს და არც მეორეს ჩვენ არ ვერევით რუსეთის ფარგლებში. საქართველოს დემოკრატიას არც სურვილი და არც იმის ძალა აქვს, რომ სხვის საქმეებში ჩაერიოს. მაგრამ სხვასაც არ მისცემს საკუთარ საქმეებში ჩარევის ნებას. ის დიდათ იღწვოდა და მნიშვნელოვან როლსაც თამაშობდა საერთო სარუსეთო ასპარეზზე, სანამ შესაძლებელი იყო, მაგრამ, როდესაც ეს ქვეყანა დააქციეს შინაურმა ძალებმა, საქართველოს დემოკრატიამ გადასწყვიტა თავის თავის მოვლა-პატრონობა. დღეს ჩვენთვის რუსეთის კითხვა ისეთივე კითხვაა, როგორც პოლონეთის, უნგრეთის, თუ ავსტრიის.

საქართველოს დემოკრატია და მისი მთავრობა უაღრესათ საერთაშორისო ძმობისა და სოლიდარობის სულით არის გაჟღენთილი, მისი მიზანია—რაც შეიძლება ჩქარა დამყარდეს მჭიდრო და მტკიცე კავშირი ერთა და სახელმწიფოთა შორის, ის მომხრე იქნება თვით ევროპის შტატებშიაც კი შევიდეს როგორც წევრი რუსეთთან ერთათ, მხოლოდ ევროპისაკენ მიმავალი ჩვენი შარა გზა მოსკოვში ვერ გაივლის, რატომ უნდა გაიაროს?!

როდესაც რუსეთი გაჯანსაღდება და საკუთარ ფეხზე დადგება, მაშინ ის სრულიად იოლად, თითქმის ხუმრობით, შემოიერთებს დაკარგულ განაპირებსო, ალაპარაკებს ინგლისელ გენერალს დენიკინელი მეგაზეთე. ჩვენ არ გვჯერა, რომ ეს ბატონი კორის სიტყვები იყვეს, აქ შეიძლება უფრო ადგილი ქონდეს ქართულ ანდაზას, „მელას რაც აგონდებოდა ის ესიზმრებოდაო“. ყოველ შემთხვევაში დენიკინს „ხუმრობის“ უფლებას ვერ წავართმევთ. მოჰყვება თუ არა სიცილი, ან ვინ გაიცინებს ამ ხუმრობის შემდეგ, ეგ სხვა კითხვაა. ხოლო ვისაც აქვს ტფილის-ბაქო-ერევანში ყური, სმენათ ისმინონ.

## ამხანაგ ჯარისკაცებს

თქვენი წერილი გუშინ მიიღო რედაქციამ. პირველი ნახევარი იბეჭდება დღევანდელ ნომერში, ხოლო მეორე ნაწილი გადაეცა სამხედრო მინისტრს.

თქვენი აზრი ჯარში კულტურული მუშაობის შესახებ, მართლაც რომ მეტათ საყურადღებოა. თქვენ იცით, რომ ჩვენი იდეალია რეგულიარული ჯარის გაუქმება და სახალხო მილიციის შემოღება. შეიარაღებული ძალა ამა თუ იმ სახით აუცილებელია მანამ, სანამ არსებობს კაპიტალის ბატონობა. კაპიტალის ბატონობა—ეს არის უმცირესობის ბატონობა უმრავლესობაზე და ეს კი შესაძლებელია მხოლოდ შეიარაღებული ძალის საშუალებით. კაპიტალს არ უყვარს უქმათ გაჩერება. ის იბანდება წარმოებაში და დაქირავებული შრომის საშუალებით ამზადებს საქონელს. საქონელს სჭირია ბაზარი. ბაზარი კი ყველას არ ყოფნის და აი იწყება ბრძოლა ბაზრის მოსაპოებლათ, შესარჩენათ და გასაფართოებლათ. ეს იწვევს ომებს და ომის მოსაგებათ კი საჭიროა გაწვრთნილი ჯარი! კაპიტალისტებმა არ იციან როდის და როგორ მოხდება ბაზრისთვის ბრძოლა. ამიტომ ის ცდილობს მუდამ მზათ იყოს, რომ ყოველ წუთში შეეძლოს თავის მოსაგების დაცვა იარაღით. და აი ის ეზიდება ჯარის კაცებს ყაზარმაში, აჩერებს იქ, რომ ყოველ წუთში შეეძლოს მისი ომში ჩაბმა. ასე იქცევიან ბურჟუაზიული მთავრობები. ამისთვის სჭირიათ მათ შეიარაღებული და მუდამ ერთ ადგილზე მყოფი ჯარი.

სულ სხვაა ჩვენი მდგომარეობა. ჩვენ არ გვჭირია ჯარი ბაზრის შესაძენათ, ჩვენ არ გვჭირია ჯარი სხვისი ტერიტორიის დასაპყრობათ, სხვის დასამონავებლათ და დასაჩაგრავათ. და რომ ჩვენ დაგვაყენებდენ, აქეთ არ გვესხმოდენ თავს, არ გვემუქრებოდენ განადგურებით, მაშინ, რასაკვირველია, ჯარის საკითხი ჩვენში სულ სხვაფრივ გადაწყდებოდა.

მარა ჩვენ ირგვლივ შემოგვერტყენ, გვემუქრებიან ყოველი მხრიდან და ეს აიძულებს ჩვენს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას იყოლიოს ჯარი ხალხის კეთილ დღეობის, ხალხის ქონების და სახლ-კარის დასაცავათ. ეს იწვევს მრავალი ახალგაზრდების ოჯახზე მოწყვეტას და ყაზარმებში დაბინავებას. რომ შიში არ მოელოდეს ჩვენ თავისუფლებას, ჩვენ ქვეყანას, მაშინ ეს ახალგაზრდები დარჩებოდენ სახლში, იმუშავებდენ თავის და ქვეყნის სასარგებლოთ და ასე ხელს შეუწყობდენ როგორც თავის, ისე მთელი ხალხის სიკეთეს და ბედნიერებას. მარა, ვიმეორებ, რადგან ჩვენ გარშემორტყმული ვართ მტრებით —რესპუბლიკა იძულებულია იყოლიოს ჯარი, რომელსაც უდიდესი და უმაღლესი მოვალეობა აწევს. ესაა—დაცვა ჩვენი თავისუფლების, ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის. და რომ ეს შესძლოს ჩვენმა ჯარმა, მას შეგნებული უნდა ჰქონდეს თავის მძიმე მოვალეობა. ამაში კი მას, რა თქმა უნდა, უდიდეს დახმარებას გაუწევს კულტურული კომისია.

კულტურული კომისიის მუშაობას მეტად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. გარდა საერთო მდგომარეობის შეგნებისა, როგორც ამხ. ჯარისკაცები აღნიშნავენ, ჯარში მრავალია წერა-კითხვის უცოდინარნი. ამათთვის უნდა გაიმართოს მოძრავი სკოლები, სადაც, გარდა წერა-კითხვისა, ასწავლიან სხვა საგნებსაც. მარა ეს კიდევ არ კმარა. ჯარში ბლომათაა ისეთი ელემენტები, რომლების სხვადასხვა სპეციალურ საგნებში მომზადება მეტად ადვილია.

ჩვენში დღეს მრავალი საზოგადო დაწესებულებებია. ერობა, თემები, ქალაქები, კოოპერატივები. ყველა ესენი დიდ უკაცობას განიცდიან. აკლიათ მომზადებული და შესაფერი პირები. ჯარში კულტურულ მუშაობას ამ მხრით ბევრი შეუძლია გააკეთოს. უნდა ვისარგებლოთ ჯარისკაცების თავისუფალი დროით და მივსცეთ მათ სპეციალური ცოდნა, რომ როცა სამსახურის ვადას გაათავებენ, სოფელს და ქალაქს დაუბრუნდენ ისეთი მომზადებული და მცოდნე პირები, რომლებიც შესძლებენ ყველა საზოგადო ორგანოებში მუშაობას.

ამგვარათ მოწყობილი მუშაობა გარდა სარგებლობისა, საინტერესოთაც გახდის ყაზარმებში ყოფნას, დააინტერესებს ჯარისკაცებს, მოახმარს თავისუფალ დროს ნაყოფიერ შრომას და ასე რესპუბლიკას შესძენს მრავალ სასარგებლო და საჭირო ახალგაზრდებს. ამიტომ, ასეთ მეცადინეობას მეტად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ყაზარმაში სკოლა, სკოლაში წერა-კითხვა და სპეციალური ცოდნა ჯარისკაცებს შეუმსუბუქებს ჩვეულებრივ ცხოვრებაზე მოწყვეტის სიმძიმეს, ინტერესს მისცემს იქ ყოფნას და თვით ცოდნა და მეცადინეობა სამხედრო ვარჯიშობასთან ერთად შექმნის იმ რესპუბლიკანურ ჯარს, რომელიც შეგნებულათ, მტკიცეთ და მამაცათ დაიცავს თავისუფლებასაც და რესპუბლიკასაც.

ასე დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჯარში კულტურულ სექციის მუშაობის ფართოთ დაყენებას და ჩვენ იმედი გვაქვს, სექცია კიდევაც შესძლებს ამას. მით უმეტეს, რომ ამ საქმეში ყველა გაუწევს მათ ყოველგვარ დახმარებას. ამხ. ჯარისკაცებმაც უნდა ისარგებლონ ამ შემთხვევით და ბეჯითი მეცადინეობით შეიძინონ ის ცოდნა-მომზადება, რომელიც მათ დასჭირდებათ, როგორც თავის პირადი კეთილ დღეობისათვის, ისე ხალხის სამსახურისთვის. ამაზე უფრო კარგ დროს ცოდნის შესაძენათ ისინი ვერ იშოვიან და რამდენათ სამხედრო მეცადინეობა მათ დროს მისცემს, ენერგიულათ და ხალისით უნდა შეუდგენ მიწოდებული სწავლა ცოდნის შეძენა შეთვისებას და ვადის გათავების შემდეგ ჩვენს ჩამორჩენილ სოფელს მოუტანონ და მოახმარონ შეძენილი ცოდნა და მომზადება.

ჩვენი ანგრეული ცხოვრება დიდ შრომას ითხოვს და ამ შრომაში და მუშაობაში თავის წვლილი უნდა შეიტანონ შინ დაბრუნებულმა ჩვენმა ჯარისკაცებმა. და ჩვენ გვჯერა, ჩვენი ჯარისკაცი ერთ ხელში თოფით, ხოლო მეორეში წიგნით თავის წვლილს შეიტანს ჩვენი ხალხის დაცვაში და მისი კეთილდღეობის მოწყობაში.

განი.

P. ს. სამხედრო მინისტრმა კულტურული სექციის უფროსათ დანიშნა ტფილისის გიმნაზიის მასწავლებელი ამხანაგი ალექ. ჟორჟოლიანი. გ.

## პრესა

„პიტალო კლდე“-ში (№ 12) დაბეჭდილია შემდეგი:

„სოც.-დემ. სენატორები და დეპუტატები.“

„გაზეთი „შ რომა“ სწერს;

„დამფუძნებელმა კრებამ უკვე აირჩია სენატორები. ამიერიდან ჩვენ გვექნება სენატი. უკანასკნელი, როგორც უმაღლესი სამსჯავრო, განსაკუთრებული ავტორიტეტით უნდა იყოს აღჭურვილი. ასეთი ავტორიტეტის და პატივის ცემის მოხვეჭა კი უმთავრესათ თვით სენატზე, მის შემადგენლობაზეა დამოკიდებული. ამიტომ სენატორებთან დამსახურებული საზოგადო მოღვაწენი უნდა ყოფილიყვნენ არჩეულნი.

„სამწუხაროთ, ეს ასე არ მოხდა. რასაკვირველია, რამოდენიმე პირი სენატორთა შორის არის ღირსეული, მაგრამ არიან ისეთი პირებიც, რომელთა გასენატორება ბევრ შეგნებულ მოქალაქეში პირდაპირ აღშფოთებას იწვევს.

„ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში უმრავლესობის პარტიის მეოხებით ბევრი რამ გამასხარავებულია. აიღეთ მაგალითათ დეპუტატი. დეპუტატს წინეთ ხალხის თვალში და თვით ბიუროკრატიის თვალშიაც დიდი სახელი და ავტორიტეტი ქონდა. დღეს მას არავინ არაფრათ აგდებს. დეპუტატის სახელის გაგონება მოქალაქეს არაფერს ეუბნება. და თუ რაიმე გრძნობებს იწვევს მასში—ეს სიბრალულს, დაცინვას და სხვა ასეთ რამეს. რატომაა ეს ასე? იმიტომ, რომ უმრავლესობის პარტიის მოღვაწეობამ ყოვლივე სახელი და ნდობა დაუკარგა დეპუტატებს ხალხში. ის უღირსი ს.-დ. დეპუტატები, რომლებიც დამფუძნებელ კრებაში „არშინ მალ ალანს“ კითხულობენ და თვისი უვიცობით და მოუხეშაობით ქვებსაც კი ალაპარაკებენ, რასაკვირველია, დეპუტატის სახელს ვერ აწევს; მას ვევერაფერს შემატებს.

„ჩვენის ფიქრით, დეპუტატის ბედი ეწევა სენატორსაც“.

არსებითად კამათი ამ საგანზე ჩვენ დამამცირებლად მიგვაჩნია. არ გვიკვირს არც ის, რომ ორი უკიდურესი მიმართულება შეერთდა ამ საკითხში: ეშაპელის და სოც. რევოლიუციონერების. გავიმეორებთ მხოლოდ პოეტის სიტყვებს: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“!

* * *

ყოფილ ამხანაგების ორგანო რუსული „სოც.-დემოკრატი“ მოწინავე წერილს გვიძღვნის, რომელშიაც ამახინჯებს ფაქტებს და დასასრულ სწერს:

„ერთობის“ და „ბორბას“ პოლიტიკური მწერლები ეყრდნობიან არა ევროპის და რუსეთის პროლეტარიატს და კლასთა ბრძოლას, არამედ ინგლისის იმპერიალიზმს. და იმავე დროს მოუწოდებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ე. ი. სამოქალაქო ომისაკენ ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის ორ ნაწილს შუა“.

მარტო ეს სიტყვებია საკმაო, რომ „სოციალდემოკრატის“ ხელმძღვანელთა სულისკვეთებას გაეცნოს კაცი. დენიკინის მოსვლისათვის ხელის შეწყობა, თუნდაც ეს მოხდეს დემოკრატიის წინაღმდეგ მოწყობილი გამოსვლებით—ეს არის იმპერიალისტობა და სამოქალაქო ომის წარმოება! ასე შეეთვისენ ერთმანეთს დენიკინის აგენტები!

* * *

იმავ ყოფილი ამხანაგების ორგანო სომხური „სოციალდემოკრატი“ (არშ. ზურაბოვისა) მეთაურ წერილში დასცინის ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკების პოლიტიკას და, სხვათაშორის, სწერს შემდეგს:

„მოხალისეთა ჯარების გამარჯვება არ აძინებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს და ისინი ახალ-ახალ ორიენტაციას ეძებენ. სომხეთს აქამდე არ ჰქონდა გამორკვეული გზა თავის პოლიტიკისა და ხან ამ ხან იმ იმპერიალისტურ წარმომადგენელს ეღოლიავებოდა. სულთანის წინ დაჩოქვის და მის შემზრალებელ ხელიდან „თავისუფლების“ მიღების შემდეგ, „ცქვიტი დიპლომატების“ დამზადებელმა პარტიამ „დაშნაკცუთიუნი“ სულთანიდან გადავიდა ინგლისისკენ, შეაგინა და დააქვავა სულთანური მახვილი, რომლის წინააღმდეგ უბრძოლია დაშნაკცუთიუნს, სჯობს ვთქვათ, დაუხოცებინებია ოსმალეთის სომხეთის საკოდავი და საწყალი სომეხი დემოკრატია.

„მოვიდა ინგლისი. „დაშნაკცუთიუნს“ დაავიწყდა ინგლისის ისტორიული სიტყვები, თუ „მისი გემები ვერ შესძლებენ ავიდნენ სასუნის მთებზე“, და შეხვდა ინგლისს, ეგონა დიდ სიკეთეს მოუტანდა თავის თავს. მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ინგლისმა ცის სიკეთების მოტანის ნაცვლად მოუტანა „ნეიტრალური ზონები“.

„დაშნაკცუთიუნი ქარის ანაბარად დარჩენილ გემისავით ეცა აქეთიქით, ჩავარდა ატლანტის ოკეანეში და წავიდა ამერიკას.

„ინგლისის დრედნოუტები არ მოვიდნენ, შეიძლება ამერიკის ტიტანიკები მოსულიყვნენ.

„კიდევ იმედის გაცრუება. ამანაც არაფერი არ მისცა. და ეხლა როგორც ბურთი, რომელიც ხელთახელთ გადადის და ათამაშებენ თავიანთ ინტერესების სასარგებლოდ იმპერიალისტები, ელოდებიან, თუ საიდან გაისმის ხმა, ვინ მისცემს ერთ ნაჭერ პურს, — დენიკინი მოვა, კარგი, ბოლშევიკები მოვლენ—უფრო კარგი. მადლობა ღმერთს ყველა ჯური კაცი მოიპოვება მის სარდაფში!

„ადერბეიჯანი სულთანის ბავშვია, და რაც უნდა დაუჯდეს, უნდა დაიცვას სულთანიზმი, მაგრამ, რასაკვირ-

# დღეს

ლიონში საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის კონგრესმა 1680 ხმით, წინააღმდეგ 824 ხა (43 თავი შეიკავა) მიიღო საპროგრამო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მხნეილ წარმოებათა ნაციონალიზაციას, აღიარებს ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას, გამოთქვამს რუსეთის რევოლიუციისადმი თანაგრძნობას, ჰკიცხავს მოკავშირეთა პოლიტიკას რუსეთისადმი და მოითხოვს უკანასკნელთან ზავის შეკვრას.

მოკავშირეებმა გერმანიას მოსთხოვეს მონაწილეობა მიიღონ ბალტიის სანაპიროების ბლოკადაში რომელიც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული.

სპარსეთის ადერბეიჯანში აჯანყება მოხდა სპარსეთის მთავრობის წინააღმდეგ ინგლისთან დადებულ შეთანხმების გამო.

იტალია ფიქრობს ბალტიის მხრის სახელმწიფოების აღიარებას და საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრას.

ვენის ქალაქის საბჭომ ამერიკას მიმართა სურსათით დახმარებისათვის.

ავსტრიის ეროვნულმა ყრილობამ დაადგინა უკამათოდ დაადასტუროს სენ ჟერმენის ხელშეკრულება. ამის შემდეგ რენნერი მთელი კაბინეტით გადადგა, მაგრამ ხელმეორედ იქნა არჩეული, ბაუერმა კი უარი განაცხადა ხელმეორედ არჩევაზე.

კერენსკი ევროპაში აცხადებს, რომ რუსის ხალხი არასდროს არ აღიარებს კოლჩაკს ან დენიკინსო.

ტულის მიმართულებით მოხალისეთა ჯარმა ქ. ნოვოსილცევო აიღო.

პეტროგრადის ფრონტზე თეთრ გვარდიელებმა ქ. გატჩინო აიღეს, მაგრამ ბოლშევიკური ცნობებით წითელ ჯარს ბრძოლით დაუბრუნებია ქალაქი.

კიევის ფრონტზე მოხალისეთა ჯარმა ქ. ფასტოვი აიღო

წითელი ჯარი ვორონეჟს ათი ვერსით მიუახლოვდა.

კუსტანაის და კურგანის რაიონებში წითელი ჯარი უკან დახეულ კოლჩაკის ჯარს მისდევს.

ბოლშევიკები აცხადებენ, რომ როძიანკო იუდენიჩი პეტროგრადს ვერ აიღებს. უკიდურეს შემთხვევაში კი თეთრები მხოლოდ ნანგრევებს იხილავენ წითელი სატახტო ქალაქის ადგილზეო.

ინგლისის ფლოტი კრონშტადტს ყუმბარებს უშენს.

---

ველია, მოხერხება უნდა, და ესეც ხერხდება.

„საქართველო წინააღმდეგია დენიკინისაც და ბოლშევიკებისაც და სანამ რთულდება მდგომარეობა და დენიკინის მუქარა ცხადი ხდება, იგი სტამბოლის გზით მიდის განათლებულ ევროპისკენ. ამ იდეაზე ერთ დროს დასცინოდნენ ჩვენი ეხლანდელი მთავარ მმართველნი. დიახ, იმათ გაიცინეს სეიმში ჯვახავაზე, რომელმაც განაცხადა, თუ რა საქმე გვაქვს ცივ რუსეთთან, უნდა სტამბოლის გზით წავიდეთ ევროპაშიო. და მიდიან. იყოს გზა მშვიდობისა, მაგრამ ჩვენ მოვაგონებთ, რომ, საცა წახვიდეთ, ცენტრისკენ მიმწევი ძალა კიდევ რუსეთის.

„საჭიროა პოლიტიკური გამორკვეული კურსი და არა ქარის მიმდევნი ორიენტაცია".

რა კურსი აქვს ზურაბოვს? ტყუილად სხვების თვალის ასახვევად დასცინის დაშნაკელებს. ისიც, როგორც დაშნაკელები, ხან დენიკინისკენ იცქირება, ხან ბოლშევიკებისაკენ. და ყველაფერი ეს მას იმისთვის ესაჭიროება, რომ პატარა რესპუბლიკების დამოუკიდებლობას წიხლი ჩასცხოს!

ესეც მარქსის ნაწერებიდან ამოიკითხა, ალბათ!

## უკანასკნელი ცნობები

**კავკასიის მთიელთა მეჯლისის მიმართვა საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობისადმი.**

კავკასიის მთიელთა მეჯლისმა შემდეგ განცხადებით მიმართა ადერბეიჯანის და საქართველოს მთავრობებს: „კავკასიის მთიელთა მეჯლისს არა ერთხელ მიუმართავს ადერბეიჯანის მთავრობისთვის და უთხოვნია დაეხმაროს მთიელებს, რომლებიც სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ გენერალ დენიკინის ჯართან. ამ ბრძოლით მთიელთა ხალხი იცავს რა თავის დამოუკიდებლობას, მასთან ერთად იფარავს ამიერ-კავკასიის ხალხს მოხალისეთა ჯარების შემოსევისაგან და ამით უზრუნველ ყოფს ამიერ კავკასიის ხალხებს მშვიდობიანი მუშაობა აწარმოვონ თავის ნაციონალურ სახელმწიფოთა გასამაგრებლათ. ყველა ჩვენი მიმართვა ამიერ-კავკასიის მთავრობებისადმი, რომ დაგვხმარებოდენ რუსეთის რეაქციონური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში და აღმოეჩინათ ჩვენთვის ან ფულით ან ტეხნიკურ საშუალებებით დახმარება—ჯერ ჯერობით უნაყოფოდ დარჩა. ამ გვარათ, ჩვენ ალბათ გვაქვს უფლება დაუმალოთ ჩვენ ხალხს, რომ ისინი მომავალშიაც დარჩებიან განმარტოებით უსწორო ბრძოლაში მთიელთა მეჯლისი სთხოვს თქვენ აღმატებულებას სასწრაფოთ გადასცეთ ეს განცხადება თქვენ მთავრობას იმის განსახილველათ, თუ რა ფორმით და რა საშუალებით შეუძლიათ დაეხმარონ მთიელთა ხალხებს, რომლებიც თავიანთ ფიზიკური არსებობის, თუ არ არსებობის საკითხის წინაშე სდგანან".

**მეგობრული ხელშეკრულობა ყუბანის მთავრობასა და მთიელთა კავშირის რესპუბლიკის შორის.**

ყუბანის დელეგაცია ერთის მხრივ და კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკა მეორეს მხრივ, გამოდიან რა იმ მტკიცე რწმენიდან, რომ კულტურული და ეკონომიური განვითარება კავკასიისა და ამ ქვეყნიურ სიმდიდრით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მეგობრული კავშირი იქნება კავკასიის სახელმწიფოებს შორის—ჩვენ ვსცანით საჭიროთ დავდოთ ურთიერთ შორის შემდეგი ხელშეკრულება: 1) ყუბანის მთავრობა და მთიელთა რესპუბლიკა ამ აქტით აღიარებენ სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს და სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ყუბანის და კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკებისას. 2) ტერიტორიალური საზღვრების დამყარება ყუბანის და კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკებს შორის მოხდება მშვიდობიანი მოლაპარაკებით. 3) ორივე მხარე მოვალეა არ გადასდგან არც დამოუკიდებლათ და არც ამა თუ იმ ფორმით ისეთი ნაბიჯები, რომელნიც დაამცირებენ, როგორც ყუბანის, ისევე მთიელთა რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს. 4) ჯარის ნაწილებს ზემოხსენებულ სახელმწიფოებისას შეუძლიანთ გადავიდენ მოკავშირე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მხოლოდ უკანასკნელის ნებართვით. ჯარი მოკავშირისა ემორჩილება იმ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზედაც იმყოფება. 5) ვცნობთ რა სასურველად ამ ორ ქვეყნის შორის დამყარდეს მტკიცე ეკონომიური ურთიერთობა, ყუბანის მთავრობა და მთიელთა რესპუბლიკები, ვალდებულნი არიან დამატებითი ხელშეკრულებით მოაგვარონ შემდეგი კითხვები: ა) საქონლის გაცვლა-გამოცვლა, საბაჟოების საკითხი, ბ) ტრანსპორტი (რკინის გზების, ნაოსნობის და გზა-ტკეცილების), გ) ფოსტა-ტელეგრაფის, დ) ფულის ტრიალი და სხვა.

ეს ხელშეკრულება უნდა დამტკიცდეს იმ წესით, რომელიც ორივე ქვეყნების კონსტიტუციებში არის. ეს ხელშეკრულება შედგენილია პარიზში ივლ. 1919 წ. დედანზე ხელი უწერიათ ყუბანის მხრით: ლ. ბიჩ—დელეგაციის თავმჯდომარეს, ვ. სავიცკის—დელეგაციის წევრს, ა. კულაბახოვს—დელეგაციის წევრს. მთიელთა რესპუბლიკების მხრივ: ა. ჩერმოევს — დელეგაციის თავმჯდომარეს, ი. ჰაიდაროვს—დელეგაციის წევრს, ხ. ხაჯგაროვს—დელეგაციის წევრს, გ. ბამატს—საგარეო საქმეთა მინისტრს.

**მოხ. სარდლობა და საქართველო.**

გაზეთ „პონედელნიკის" უკანასკნელ ნომერში შემდეგი ცნობაა: „პიატიგორსკიდან ახლად ჩამოსულმა საზოგადო მოღვაწემ პ. გ. თუმანოვმა, რომელსაც საუბარი ჰქონია იქ საზოგადო მოღვაწეებთან და მოხალისეთა წარმომადგენლებთან, შემდეგი გადმოგვცა: მიუხედავათ იმისა, რომ იქ დიდ აგიტაციას ეწევიან საქართველოს წინააღმდეგ მოხალისეთა პრესაში, მთავარმა სარდლობამ მტკიცეთ გადასწყვიტა, არავითარი აგრესიული ნაბიჯები არ გადასდგას საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ: თუ ვინიცობაა აიღეს მოსკოვი—განზრახულია მოიწვიონ დამფუძნებელი კრება, რომელიც გადასწყვეტს მომავალ მართველობის ფორმას და განაპირა მხარეების საკითხსაც. ჯერ ჯერობით განაპირა კუთხეების შესახებ გაიმარჯვა ფედერატიულმა თვალსაზრისმა".

**პეტროვსკი გარშემორტყმულია.**

უკანასკნელ მომენტში მივიღეთ ჯერ შეუმოწმებელი ცნობები, რომ აჯანყებული დაღესტნელები გარსშემოერტყნენ პეტროვსკს. სწარმოებს მედგარი ბრძოლა.

**შარურ-ნახიჩევანი.**

ადერბეიჯანის და სომხეთის მთავრობებს შორის სრული შეთანხმება მოხდა შარურ და ნახიჩევანის საკითხის შესახებ. დაარსდება ნეიტრალური ზონა, სადაც ძალა-უფლება ამერიკელების მიერ დანიშნულ გენერალ გუბერნატორის ხელში იქნება.

**ჩვენი მისიის ჩასვლა იტალიაში.**

იტალიური პრესის ცნობა: ჩამოვიდა საქართველოს კომერციული მისია საბახტარიშვილის მეთაურობით. მისია ინახულებს იტალიის სამრეწველო ცენტრებს. (საქ. დეპ. სააგ.)

## დამფუძნებელი კრება

17 ოქტომბრის სხდომა.

(დასასრული)

**დეკრეტი მუშა მოსამსახურეთათვის პირველ საჭიროების საგნების მისაწოდებლათ მთავრობის განკარგულებაში 50 მილიონ მანეთის გადადებისა.**

ამ საკითხზე მოხსენებას აკეთებს გრ. ურატაძე, რომელიც შემდეგს ამბობს: მე დარწმუნებული ვარ, ბევრი ლაპარაკი არ დამჭირდება იმის დასამტკიცებლათ, თუ რა გაჭირვებას განიცდის დღეს ჩვენი მუშათა კლასი. ცხოვრების სიძვირის შეუჩერებელმა ზრდამ მუშათა მდგომარეობა მეტად გაამწვავა და საშიშ მდგომარეობაში ჩააგდო. და თუ დროზე ვერ შევსძელით ამ მდგომარეობის სიმკაცრის შესუსტება, ჩვენს მუშათა კლასს საშინელი უბედურება მოელის.

მით უფრო სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენ, რადგან თვით მუშები წარმოუდგენელი მოთმინებით ეზიდება თავის მძიმე ხვედრს და ერთ ხელაც არ ამოუღია ხმა თავის გაჭირვებულ მდგომარეობაზე. მხოლოდ ჩვენი მუშების უმაღლეს შეგნებას და პასუხისმგებლობის გრძნობას შეეძლო ასე უდრტვინველათ ასეთი გაჭირვების ატანა. ფაქტია და ფაქტი იშვიათი, რომ ჩვენს მუშებს, მიუხედავათ ასეთი გასაჭირისა, ერთხელაც არ მიუმართავთ ამდენი ხნის განმავლობაში თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ არც გაფიცვისათვის, არც სხვა რაიმე ისეთი ზომისთვის, რომელსაც შეეძლო დაერღვია არსებული წესრიგი და მით ჩვენი რესპუბლიკისთვის, ჩვენი თავისუფლებისათვის ზიანი მიეყენებინათ. ის იობის მოთმინებით ეზიდება თავის მძიმე ჯვარს, რადგან კარგათ იცის ჩვენი ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობა, მისი ავლადიდება და ის თავის გაჭირვებით, თავის პირადი და ოჯახური მსხვერპლით ცდილობს რესპუბლიკის გამაგრებას და განმტკიცებას. მას იშვითი სიმამაცით და სიგმირით მიაქვს ყოველ-გვარი სხვერპლი თავისუფლების ტრაპეზზე და, როგორც ვთქვით, თავის გაჭირვების სიმძიმის ქვეშ ერთხელაც არ დაუკვნესია.

გაჭირვება კი მეტის მეტად დიდია. მართალია, სამუშაო ხელფასი გაიზარდა შედარებით, მარა, მაშინ, როცა ცხოვრება უკანასკნელ წლებში 75-ჯერ გაიზარდა ხელფასი მხოლოდ 21 ჯერ გადიდდა, ამ რიგათ ხელფასის რეალური ღირებულება დიდი ხანია დაშორდა მის ნორმალურ რაოდენობას, რასაც შედეგათ მოჰყვა მუშათა ბიუჯეტებში მეტად დიდი დეფიციტი. ამ დეფიციტს ჩვენი მუშები დღემდის ფარავდენ და ავსებდენ იმით, რომ სისტემატიურათ გამოჰქონდათ ბაზარზე გასაყიდათ სახლის ავეჯეულობა, ტანსაცმელი და სხვა მისთვის აუცილებელი საოჯახო ნივთები. მაგრამ დღეს ეს ძველი ნაამაგარი, ეს წყაროც გამოელიათ. უმრავლესობა ჩვენი მუშებისა, მოწყვეტილი სოფელს, ვერაფრით ველარ ახერხებს ამ დეფიციტის დაფარვას და იქნება პირდაპირ კატასტროფიული მდგომარეობა.

დარჩენილნი უმთავრესად პურისა და მჭადის ამარა, საკმარისად ველარც ამას შოულობენ და დიდი უმრავლესობა ნახევრად შიმშილს განიცდის. შემოაცვდათ ტანზე და ფეხზე, შეილახნენ ჯანით, დაავადმყოფდენ, დაუძლურდნენ გახშირდა მათში სიკვდილი. შრომის სამინისტროს მიერ შეკრებილი ცნობებით ამ ბოლო წელს სიკვდილმა, შედარებით წინა წლებთან, ოცი პროცენტით იმატა.

მუშათა კლასის დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობის მიზეზი არის, რასაკვირველია, განვლილი ომიანობის ხანა, რამაც შთანთქა ქვეყნის სიმდიდრე, დაასუსტა, დააკნინა მისი საწარმოვო ძალები, მოშალა სახელმწიფოს ეკონომიური საფუძველი, გაანიავა ათეული წლობით შექმნილი წარმოება, შეიტანა არევ დარევა მეურნეობის ყველა დარგში და ასე ნიადაგი მოუმზადა ქვეყნის გაღატაკებას.

აღდგენა მუშათა ძველი ეკონომიური მდგომარეობის, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა აღსდგება და გაძლიერდება ქვეყნის საწარმოვო ძალები, რაც დამოკიდებულია ბევრ შინაურ და გარეშე ობიექტიურ პირობებზე. ეს კი შედარებით მეტად ხანგრძლივი პროცესია, ცდა ამისა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. საჭიროა სასწრაფო და განსაკუთრებული ზომები, რომ მუშათა კლასი გადავარჩინოთ იმ ფიზიკურ განადგურებას, რომელიც მას კარს უკაკუნებს.

დღემდის მიღებული ზომები უმთავრესად და ერთავად გამოიხატებოდა ხელფასის გადიდების ცდაში. მაგრამ, როგორც ვთქვით, გაძვირებას ვერ დაეწია ხელფასის გადიდება და მდგომარეობა ისევ უმწეო დარჩა. აუცილებელი გახდა ხელ ფასის მოწესრიგებასთან ერთად სხვა ზომების მიღებაც და აი შრომის სამინისტრო შემოდის დამფუძნებელ კრებაში შუამდგომლობით—გადაიდოს მთავრობის განკარგულებაში 50 მილიონი მანეთი.

დანიშნულება ამ 50 მილიონისა არის პირველი მოთხოვნილების საგნების შეძენა და მოსამსახურეებისათვის იაფათ მიწოდება. მთავრობას ნება უნდა ჰქონდეს, თუ გარემოება მოითხოვს, შეძენილი საქონელი ღირებულებაზე ნაკლებათ მიაწოდოს მუშებს და აქედან გამოწვეული ზარალი ხაზინიდან დაფაროს. შეძენილი იქნება უმთავრესათ პური, შაქარი, მანუფაქტურა, შეშა, ნავთი, საპონი, ფეხსაცმელი და სხ.

საქონლის შეძენა და განაწილება მოხდება უკვე არსებული ორგანოების საშუალებით. სამინისტრო არ მოითხოვს ამისთვის რაიმე ახალი აპარატის შექმნას, რადგან ეს გამოიწვევდა ახალ ხარჯებს და მოითხოვდა ახალ კრედიტს.

სამინისტროს არ შეეძლო თავის ყურადღება მარტოდ და მხოლოდ იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის მიექცია, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკის წარმოება დაწესებულებებში. ამას იქით კიდევ მრავალი მუშებია კერძო თუ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და აი ამათ შესახებ დეკრეტში შეტანილია მესამე მუხლი, რომლის ძალით მთავრობის მიერ შეძენილი საქონელი ისეთივე წესით მიეცემათ ყველა კერძო და საზოგადო ორგანიზაციებში მომუშავებსაც. მხოლოდ ამისთვის საჭიროა ხსენებული დაწესებულებები შეუთანხმდნენ მთავრობას და მათაც გაიღონ შესაფერი თანხა. კერძო მწარმოებლებს ასეთი თანხმობა უკვე განუცხადებიათ სატარიფო პალატაში.

ასეთია ამ დეკრეტის უმთავრესი მოტივი და შინაარსი, დეკრეტი მთავრობას მოუწონებია და მიუღია და ახლა ის წარმოდგენილია თქვენს განსახილველათ და მე იმედი მაქვს თქვენც მას მიიღებთ.

შრომის მინისტრის ამხანაგი გ. ერაძე აღნიშნავს: *) ეს საკითხი მეტად სერიოზულად დგას ჩვენს წინაშე. მუშათა გაჭირვებულმა მდგომარეობამ უმწვერვალეს წერტილს მიაღწია და თუ ვერ გამოვნახეთ საშუალება ამ მდგომარეობის მოსაგვარებლათ, ჩვენს რესპუბლიკას დიდი უბედურება მოელის. მუშათა კლასის გაღატაკება, ეკონომიური კრიზისი, ომის დაწყებიდანვე დაიწყო. ომმა გაანიავა სახელმწიფოს ქონება, შეაფერხა წარმოება. ამ გარემოებამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო რევოლიუციის დაწყებიდან. ასეთ შედეგს ვერ ასცდა ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორც არიან ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და სხვა. თავისთავად ცხადია, რომ ამას მით უმეტეს ვერ ავცდებოდით ჩვენ. მე მგონია, რომ მუშათა კლასის გაჭირვებულ მდგომარეობაზე ლაპარაკიც მეტია, ეს ყველასათვის აშკარაა და ადვილათ დასანახი საქმეა. შემდეგ ის აღნიშნავს სიძვირის ზრდას დაწყებული 1914 წლიდან და მას უფარდებს მუშათა ხელფასის ზრდას. სიძვირემ აიწია 3 ნახ.—ჯერ, ვინემ ხელფასმა—ე. ი. მუშათა ეკონომიური ცხოვრება დაქვეითდა 3 ნახევარჯერ. როგორც გამოცდილება და ცხოვრება ამტკიცებს, ძნელი შეიქნა ცხოვრების გაძვირებასთან ხელფასის შეფარდება. ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენში წარმოება ძალზე დაცემულია. სანამ წარმოება არ აღორძინდება, მანამ ძნელია მუშათა მდგომარეობის საგრძნობლათ გაუმჯობესება. მაგრამ, სანამდე აღორძინდებოდეს წარმოება, მანამ საჭიროა მიღებულ იქნას ზომები იმის წინააღმდეგ, რომ მუშები არ დაადგნენ განადგურების გზას. უნდა გამონახულ იქნას რაიმე საშუალება მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ასეთ საშუალებათ ჩვენ მიგვაჩნია ის წინადადება, რომელიც აქ არის წარმოდგენილი.

ჩვენ ვადგებით ახალ გზას—გვსურს სახელმწიფო გამოვიდეს ბაზარზე კონკურენტის როლში და თვითონ შეისყიდოს მუშებისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე. შეიძლება მას ხშირათ აწეულ ფასებში მოუხდეს სურსათ-სანოვაგის შეძენა, მაგრამ ამას არ უდნა შეუშინდეთ. მუშა-მოსამსახურეებს კი ძლიერ ხელსაყრელ ფასებში უნდა მივაწოდოთ ეს სურსათი, თუნდაც დეფიციტიც ვნახოთ.

ამ გზით შეიძლება რეალური სამუშაო ქირის აწევა და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, რამდენათაც ეს შესაძლებელია დღევანდელ პირობებში.

ჩვენ გვინდა ამ საქმეში ჩავითრიოთ აგრეთვე მრეწველები. მათაც უნდა გავალებინოთ თანხა ფონდის დასაარსებლათ. ამ ფონდით მთავრობა ისარგებლებს და კერძო წარმოებებში მომუშავეებსაც მიაწვდის სურსათ-სანოვაგეს. ყველა ამ მოსაზრების გამო, ჩვენ გთხოვთ, რომ წარმოდგენილი დეკრეტი მიიღოთ. (ტაში).

**ზ. მესხიშვილი** (ს. ფ.) აცხადებს, რომ სოც. ფედერალისტების ფრაქცია სიამოვნებით ეგებება ამ დეკრეტს. ჩვენ ამ საშუალებაზე მიუთითებდით დამფუძნებელ კრებას 8 თვის წინეთაც ჩვენს დეკლარაციაში. ესეც კარგია, რომ ამ ახალ გზას დაადგნენ სოც. დემოკრატები, მაგრამ ჩვენ ეს მაინც არ მიგვაჩნია დამაკმაყოფილებლათ: ჩვენის აზრით, საჭიროა სულ სხვანაირი ეკონომიური პოლიტიკა. საჭიროა ჩვენი ფინანსების გაჯანსაღება (კ. ნინიძე: ეს ვიცით, ბ. მესხიშვილო, მაგრამ საქმე იმაშია, ვინ შეაბამს ეჯვანს, როგორ გავაუმჯობესოთ.) ორატორი განაგრძობს და ამბობს, რომ სანამდე ფინანსების გაჯანსაღება არ მოხდება და წარმოებას სახელმწიფოებრივი ხასიათი არ მიეცემა, მანამ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა ვერ მოხდება.

**სპ. კედია** (ნ. დ.) აღნიშნავს, რომ ვისაც გათვალისწინებული აქვს ჩვენი ეკონომიური სინამდვილე, ის ამ დეკრეტს სიხარულით ვერ შეეგებება. ჩვენში ეს დეკრეტი იწვევს მწუხარებას. ეს არის მუშებისათვის ცარიელი ხაზინიდან სუბსიდიის მიცემა. ასე გრძნობებზე და ფილანტროპიაზე სახელმწიფოს აშენება ყოვლად შეუძლებელია. ეს დეკრეტი შედეგია იმ შემცდარი ეკონომიური პოლიტიკისა, რომელიც აქამდე იქნა წარმოებული.

**ნ. რამიშვილი** აღნიშნავს: აქ ორი მხრიდან დაიწუნეს ჩვენი პოლიტიკა. ჩვენ ეს არ გვაკვირვებს. ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ ის გზა, რომელზედაც ჩვენ ვადგევართ, ერთად ერთი გზაა. ამას მოწმობს ევროპის მოწინავე სახელმწიფოების პოლიტიკა. ყველა ის ქვეყნები, რომლებმაც განიცადეს ომის სიძნელენი, დღეს უკიდურეს ეკონომიურ კრიზისს განიცდიან და კრიზისის თავიდან ასაცილებლათ ღებულობენ იმ ზომებს, რომლებსაც ჩვენ გვსურს მივმართოთ. მაგალითათ, გერმანია ამ გზას ადგია და მისთვის არც ერთ პარტიას, ჯგუფს არ უთქვამს, რომ ის ხალხის ქონებას ფლანგავს. შემდეგ ის უპასუხებს ზ. მესხიშვილს და ამბობს, რომ მან (მესხიშვილმა) მხოლოდ მას მერე დაიწყო ამ კილოზე ლაპარაკი, რაც მთავრობიდან გავიდა. მთავრობაში ყოფნის დროს მას არც ერთხელ არ წარმოუდგენია რაიმე პროექტი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, არ შემოუტანია არავითარი წინადადებაც. თუ დღეს ასე ილაშქრებენ ფედერალისტები ჩვენს წინააღმდეგ, ეს იმიტომ, რომ მათ კონფერენციამ დაავალა ოპოზიციის წარმოება. მაგრამ ოპოზიცია კი არა, უბრალო ხმაურობის ატეხა გამოდის.

შემდეგ ის ამტკიცებს, რომ წარმოდგენილი დეკრეტი ერთად ერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია რამდენიმეთ მაინც მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესება და ამიტომ მიღებულ უნდა იქნასო. (ტაში)

**გ. ჟულელი** აღნიშნავს: მე მეგონა, რომ იმ ციფრების შემდეგ, რომელიც აქ მოვისმინეთ, ამ დეკრეტს ერთხმად მივიღებდით, მაგრამ სამწუხაროთ ზოგიერთი ფრაქციები შეეცადენ ეს დეკრეტი გამოეყენებინათ თავიანთი პარტიული კაპიტალის გასაძლიერებლათ. შემდეგ ორატორი ეკითხება ფედერალისტებს: თქვენ თუ იცოდით რაიმე საშუალება, რატომ არ შეიტანეთ მთავრობაში ყოფნის დროს რაიმე ღრმა ეკონომიური პროექტი? როგორც ვიცი, თქვენ არც ერთხელ არ შეგიტანიათ მთავრობაში ამ საკითხის შესახებ წინადადებაც (ნ. რამიშვილი ადგილიდან: არასოდეს არ შემოუტანიათ). და ბოლოს თუ თქვენ ამ ეკონომიური კრიზისის გასანელებლათ რაიმე წამალი გაქვთ, გვიჩვენეთ, და თუ გაქვთ და მალავთ, მაშინ ხალხის ინტერესებს ღალატობთ, მაგრამ თქვენ ეს წამალი არ გაქვთ, თქვენ მხოლოდ სხვისი მოქმედების დაწუნება შეგიძლიათ და ავითონ კი საქმეს ნაკლებათ აკეთებთ. ის უპასუხებს აგრეთვე სპ. კედიას, არღვევს მის მიერ წამოყენებულ მოსაზრებებს და აცხადებს, რომ სოც.-დემ. ფრაქცია ამ დეკრეტს მხარს უჭერსო (ტაში).

**გრ. ურატაძე** (მომხსენებელი). აქ დეკრეტის წინააღმდეგ არსებითად არაფერი უთქვამთ. პირიქით, ფედერალისტების ორატორმა ზ. მესხიშვილმა აღტაცებით მიეგება მას, მხოლოთ ის შეიპყრო შიშმა—ვაი თუ ეს კარგი დეკრეტი ისტორიამ სოციალ-დემოკრატებს მიაწეროსო და აი ის იჩქარის გადასცეს სტენოგრამას ჩასაწერათ, რომ ამ აზრს ფედერალისტები დიდი ხანია ჩვენზე ადრე იცავდენ. მე არ დავიწყებ ამ პრიორიტეტზე დავას. დეე ეს იყოს ისტორიის საქმე. მე მინდა ორიოდე სიტყვით უპასუხო ბ. სპ. კედიას.

ბ-ნმა კედიამ მუშათა უმწეო მდგომარეობა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის შედეგათ გამოაცხადა, მარა ის კი არ გვითხრა თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი პოლიტიკა. ის მოვალე იყო [illegible] მაინც [illegible] [illegible] [illegible] მართლა აქვს ის თილისმა, რომელიც იხსნის ჩვენ ხალხს ასეთი გაჭირვებისაგან—უნდა ეთქვა; და თუ არ სთქვა—ეს იმიტომ, რომ მას ასეთი არაფერი აქვს და თუ მაინც ასე იქცევა—ეს იმიტომ, რომ ამას აიძულებს მას მისი ფრაქციული მოვალეობა. მას უნდა ამით თავის პარტიული კაპიტალის შეგროვება. დავიჯეროთ ბ. კედიამ არ იცის, რომ მუშათა ასეთი მდგომარეობა შედეგია არა ჩვენი პოლიტიკის, არამედ ომისაგან გამოწვეული ეკონომიური განადგურებით?! მან ესეც იცის, მარა თუ არ სთქვა—ესეც პარტიული მოსაზრებით.

მან ამ დეკრეტს „სუბსიდია" და „ფილანტროპია" უწოდა. ეს სიტყვები მან განზრახ იხმარა, რომ ამით სახელი გაეტეხა დეკრეტისათვის, რადგან კარგათ იცის, რომ ჩვენი მუშები იმდენათ ამაყია თავის გაჭირვებაშიაც კი, რომ თუ დარწმუნდება, რომ ეს მართლა „სუბსიდია და ფილანტროპია", არას დროს მას არ მიიღებს. მარა ეს რომ სუბსიდია არაა ეს კარგათ იცის ბ. კედიამ. თუ მაინც ასე ამბობს—ამასაც რასაკვირველია პარტიული მიზნებით. ეს სუბსიდია კი არაა, არამედ რესპუბლიკის მოვალეობა მუშათა კლასის წინაშე. ამ გზას დაადგა გერმანია, იტალია, ინგლისი, ავსტრია. სწორეთ ასეთივე ზომები იქნა ამ ქვეყნებში მიღებული და ჩვენი დანაშაულობა შეიძლება იყოს ის, რომ ჩვენ დავიგვიანეთ ამ დეკრეტის შემოტანა. ბ. კედიას იმიტომ ეჩვენება ეს ზომა ფილანტროპიათ, რომ ბურჟუაზიული მთავრობებისათვის მუშათა კლასის წინაშე მოვალეობა არ არსებობდა და აი როცა ახლა ჩვენი მთავრობა ამ მოვალეობას ასრულებს მუშათა კლასის წინაშე—ჩვენ ბურჟუაზიულ პარტიებს ვერ შეუთვისებიათ ეს და ჰგონიათ ჩვენი მთავრობაც ფილანტროპიას ეწევა, ე. ი. იმეორებს ბურჟუაზიულ მთავრობას: მარა, ვიმეორებთ, ეს არ არის ფილანტროპია, არამედ მთავრობის უპირველესი მოვალეობა, ზომა სახელმწიფოებრივი, და როგორც ასეთი, ის მიღებული უნდა იქნას კანონმდებლობით.

დეკრეტი მუხლობრივი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

20 ოქტომბერი.

**ბერმანტის პარიზის ცნობები.**

მოკავშირეთა და მეგობარ სახელმწიფოთა სახელით ფოშმა გერმანიის მთავრობას გადასცა ნოტა, სადაც წინადადებას აძლევს, დასცალოს ბალტიის პროვინციები და ლიტვა. მაისში კი, მიუხედავათ გერმანიის მთავრობის პროტესტისა, მოკავშირეები მოითხოვდენ, რომ გერმანიის ჯარები იქიდან არ გამოეყვანათ. მას შემდეგ გერმანიის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა იქიდან ჯარის გამოსაყვანად. გერმანიის მთავრობამ შეწყვიტა იქ მყოფ გერმანულ ჯარისთვის სურსათის და ჯამაგირის მიცემა და დაემუქრა, რომ პენსიის ძლევასაც შეუწყვეტდა. ბალტიის მხარეში სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია. მოსაზღვრე სადგურებზე ყველგან განსაკუთრებული ყარაულები დააყენეს. ყველა ეს მოწმობს, რომ გერმანიის მთავრობას არავითარი საბუთი არ მიუცია იმ მკაცრი ზომებისთვის, რომელზედაც ლაპარაკია მოკავშირეთა ნოტაში. გერმანიის მთავრობა არც ფონ-დერ ჰოლცის გამოწვევაზე აცხადებდა უარს და მხოლოდ მისი წამოსვლის შემდეგ მომხდარმა რკინის დივიზიის აჯანყებამ აიძულა ის მიტავაში დაბრუნებულიყო. ამის ნება ფონ დერ-ჰოლცს მხოლოდ იმიტომ მისცეს, რომ უკმაყოფილო ჯარზე მას დიდი გავლენა ჰქონდა და მართლაც ჯარის ერთმა ნაწილმა შეასრულა მისი ბრძანება. ამის შემდეგ ფონ დერ-ჰოლცი გამოწვეულ იქნა ბერლინში და მის მაგიერ გენ. ებერჰარდტი დაინიშნა. გერმანიის მთავრობამ სრულიად აუკრძალა გერმანელ ჯარისკაცებს რუსულ სამხედრო ნაწილებში შესვლა და ყოველივე კავშირი გასწყვიტა მათთან, ვინც ამ ბრძანებას არ დაემორჩილა. არც ერთი გერმანული სამხედრო ნაწილი გერმანელის სარდლობით მონაწილეობას არ ღებულობს პოლკ. ავილოვ-ბერმონტის შეტევაში. გერმანიას აზრათ არა აქვს ლატვიასთან ან რუსის ხალხთან ბრძოლა. გერმანიამ კმაყოფილებით მიიღო ნოტა მოკავშირეთა კომისიის გაგზავნის შესახებ. გერმანია სთხოვს ამ კომისიას რაც შეიძლება ჩქარა ჩამოვიდეს იგი, რათა დარწმუნდეს გერმანიის მთავრობისადმი წარდგენილ ბრალდებათა უსამართლობაში.

გერმანიის მთავრობამ ლატვიის მისიას ბერლინში განმარტება მოსთხოვა

---

*) მის მიერ მოყვანილ ციფრებს სიძვირის ზრდის შესახებ შემდეგ მოვათავსებთ.

...ში გერმანიის წარმომადგენლის და-...მრების გამო.

ბერლინში მოელიან მოკავშირეთა ბალტიის მხარის საქმეთა კომისიას: 400 ოფიცერს, 800—900 ჯარისკაცს და 200 ავტომობილს.

...ანდიაში ყოფილ სამხედრო ქარხნებში ეხლა სასოფლო სამეურნეო იარაღებს ამზადებენ.

ავსტრიის ეროვნულმა ყრილობამ დაადგინა, უკამათოდ დაადასტუროს სენჟერმენის ხელშეკრულება.

ავსტრიის ეროვნულ ყრილობის მიერ საზავო ხელშეკრულების დადასტურების შემდეგ რენნერი მთელი კაბინეტით გადადგა. რენნერი ხელ მეორედ იქნა არჩეული, ბაუერმა კი უარი განაცხადა მისი ხელმეორედ არჩევაზე.

ჰელსინგფორსიდან მიღებული ცნობებით, ინგლისის ფლოტი კრონშტადტს უშენს.

გერმანიაში ქვა-ნახშირის სიმცირის გამო, მუშაობა შესწყვიტა პოტაშის 115 ქარხანამ.

გერმანიის მთავრობასა და ქ. დანციგის შორის მოხდა შეთანხმება, რომ ...ის ძალითაც საიმპერიო დოკში და ...ის ქარხნებში ქ. დანციგს უნდა გადაეცეს რათა მუშებს სამუშაო აღმოუჩინოს.

გერმანიის მთავრობას ჯერ ოფიციალური ცნობა არ მიუღია იმის შესახებ, რომ ფონ დერ ჰოლცს მისამართით ...რილი გაეგზავნოს პოლკ. ავალოვ-ბერმონტისთვის, თუ ეს ცნობა გამართლდა, მთავრობა მაშინვე მიიღებს სერიოზულ ზომებს ფონ დერ ჰოლცის წინააღმდეგ.

ამბობენ, რომ მოკავშირეთა ნოტა ბლოკადის შესახებ ჯერ არ გამოუქვეყნებიათ, რადგან მოელიან გერმანიის და ნეიტრალურ ქვეყნების პასუხს, ნამდვილად კი, ცხადია, ამის მიზეზი ის არის, რომ მოკავშირეებს არა სურთ ეს ნოტა თავის ქვეყნებშიაც გამოაქვეყნონ.

პარიზის გაზეთი „მატენ"-ი იუწყება, რომ ლეიპციგის მუშათა საბჭოს მოლაპარაკება აქვს რუსეთის მთავრობასთან რუსეთში 800,000 მუშის გაგზავნის შესახებ. მუშათა საბჭო აცხადებს, რომ ამ ცნობაში არც ერთი სიტყვა არ არის მართალი.

გაზ. „პტი პარიზიენ"-ის სიქტ. 22-ის №-ი იუწყება: პრუსიის მინისტრმა შტეგელ ვარდტმა კელნში განაცხადა, რომ ვერსალის ხელშეკრულება მხოლოდ ქაღალდის ნაგლეჯია. მიუხედავათ ამ ცნობის ოფიციალურად უარყოფისა, საფრანგეთის პალატის დეპუტატმა ლეფევრმა ოქტ. 3 ეს ცნობა გაიმეორა. მერეთ ცხადდება, რომ შტეგელ ვალდტს არა დროს არ უთქვამს სიტყვა „ქაღალდის ნაგლეჯი" და რომ გერმანიას განზრახული არა აქვს ხელშეკრულების არ ასრულება.

ვენის ქალაქის საბჭომ შემდეგი მოწოდებით მიმართა ამერიკას: „ვენა აუცილებელ კატასტროფის წინაშე სდგას რამდენიმე ათას კაცს სიკვდილი და უბედურება მოელის. საკუთარი ძალებით ამას თავიდან აცილებას ვერ შევძლებთ, თუ ვინმეს შეუძლია ჩვენი ხსნა, ეს ამერიკაა. ეჭვს გარეშეა, რომ, ამერიკის ერი გაიგებს თუ არა ქ. ვენის ნამდვილ მდგომარეობას, ჩვენი დაღუპვის უბრალო მეთვალყურეთ არ დარჩება." ეს მოწოდება ამერიკის პარლამენტს გაეგზავნა.

პოლონეთის საოკუპაციო მმართველობამ აღმოსავლეთ გალიციაში აკრძალა უკრაინის კერძო უნივერსიტეტის გახსნა.

ეროვნულ ყრილობის საბიუჯეტო კომისია აღელვებულია იმით, რომ მოკავშირეთა საკონტროლო კომიტეტისთვის ბერლინში უნდა განთავისუფლდეს რამდენიმე სასტუმრო.

**მოხალისეთა ჯარის სამხედრო ცნობა.**

სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდლის შტაბის ოფიციალური ცნობა.

**ნიკოლაევი.** ოქტ. 5. (ძველი სტილით) ასტრახანის მიმართ. მდგომარეობა უცვლელია. კამიშინის მიმართ. ჩვენი წინსვლა მარჯვეთ ვითარდება. ზემო დონის რაიონში ქ. ბობროვის სამხრეთით კისლაიას მიდამოებში დონის არმიამ წითლების მე 4 დივიზია გაანადგურა, წამოიყვანა 1500 ზე მეტი ტყვე, ხელთ იგდო 11 ზარბაზანი, 10 ტყვიისმფრქვეველი და დიდი ტრანსპორტი. უკან დახეულ მოწინააღმდეგის დევნა გრძელდება. დანარჩენ ფრონტზე მკაცრი ბრძოლები ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს. ვორონეჟის აღმოსავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლები გრძელდება. ტამბოვის მიმართ. არსებითი არაფერი მომხდარა. ტულის მიმართ. ოქტ. 2 მკაცრი ბრძოლის შემდეგ ქ. ნოვოსილცევო ავიღეთ. ორიოლის დასავლეთით სოლნცევოს რაიონში 150 ტყვე წამოვიყვანეთ. ბრიანსკის დასავლეთით მკაცრი ბრძოლებია. სპრეკის აღებით ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები, ტყვიისმფრქვევლები, ტრანსპორტი და სხ. გომელის მიმართ. გარემოება უცვლელია. კიევის რაიონში ფოსტის მიდამოებში (?) გრძელდება. მოწინააღმდეგე უკან იხევს. მოგილიოვის მიმართ. ჩვენმა მამაცმა ჯარმა ქ. გაისინი და სად. პრისტინოვკა აიღო. 22 დღის მკაცრი ბრძოლების განმავლობაში 700 ტყვე წამოვიყვანეთ და 12 ტყვიისმფრქვეველი ჩავიგდეთ ხელში. ადესის რაიონში მდგომარეობა უცვლელია.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი.** ოქტ. 18. **გომელი.** ოქტ. 14. დენიკინის ზურგში მომქმედ აჯანყებულთა რაზმები საფუძვლიანათ აწუხებენ მას. ამას მოწმობს კიევის ოლქის შტაბის ცნობები.

**მოსკოვი.** ოქტ. 18. პეტროგრადი ვერ დაეცემა და არც უნდა დაეცეს. ბალტიის ფლოტის მეზღვაურნი უკანასკნელ ტყვიამდე და უკანასკნელ სუნთქვამდე დარჩებიან თავის ადგილზე. ჩვენი დრედნოუტების მძლავრი ზარბაზნები შესძლებს ბრბოების ბოლოს მოღებას და დაე, თეთრები ნუ ოცნებობენ პეტროგრადში შესვლაზე, უკიდურეს შემთხვევაში თეთრები მხოლოდ ნანგრევებს იხილავენ წითელი სატახტო ქალაქის ადგილზე. რევოლიუცია ბრძოლისკენ გვხმობთ, რევოლიუცია თქვენგან მოითხოვს რკინის რევოლიუციონურ დისციპლინას და გამარჯვების მტკიცე რწმენას. ჩვენ გავიმარჯვებთ ბრძოლის ძახილით: „ყველა ქვეყნის პროლეტარიატნო, შეერთდით".

**ხორხი.** ოქტ. 17. „ტაიმს"-ის სიტყვით მოკავშირეებმა გერმანიას მოსთხოვეს მონაწილეობა მიიღოს ბალტიის სანაპიროების ბლოკადაში, რომელიც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული.

**ლიონი.** ოქტ. 17. რიგიდან იუწყებიან, რომ რიგაში შესვლის შეუძლებლობის გამო ბერმონტის ჯარი ეხლა უქმად სცდილობს გადავიდეს დვინაზე მეორე ალაგას და ზარბაზნებს უშენს რიგა დვინსკის რკინის გზას. მოკავშირეთა წარმომადგენლები ჯერ ისევ რიგაში არიან. კვირას მთელი ღამის განმავლობაში ქალაქს მკაცრად უშენდნენ ზარბაზნებს. დვინაზე გადმოსულმა ამერიკულ წითელი ჯვრის ოფიცერმა განაცხადა, რომ მოწინააღმდეგის ჯარი უმთავრესად გერმანელებისაგან შესდგება და დიდი ძალი არტილერია აქვს. უკანასკნელ ბრძოლაში ეს ჯარი ძლიერ დაზარალდა.

**პეტერბურგი.** ოქტ. 18. სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობით, წითელმა ჯარმა ისევ აიღო გატჩინო.

პუდოჟგისკენ ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს და ხელთ იგდო მოწინააღმდეგის იარაღი, ყუმბარები და ტრანსპორტი. მურმანსკის მიმართ. ჩვენმა ჩვენმა ჯარმა დაიპყრო ონეგის ნახევარ კუნძულის მთელი სამხრეთი ნაწილი. ფინეთის ყურეში სიწყნარეა. გატჩინოს ჩრდილო აღმოსავლეთის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ლუგის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი ვინდავის რკ. გას უტევს. პსკოვის დასავლეთით მტერმა დიდის ძალით შემოგვიტია. ლეპელის რაიონში მთელ ფრონტზე ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩვენი ჯარი ბრძოლით ბერეზინაზე გადავიდა... (შემდეგ გამოტოვებულია).

**მოსკოვი,** სამხედრო ცნობა. პუდოჟგისკენ ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. კრასნოე სელოს ჩრდილოეთით საარტილერიო ბრძოლაა. იამბურგის მიმართულებით გატჩინო დავტოვეთ. ლეპელის რაიონში ჩვენი წინსვლა მარჯვედ ვითარდება. წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვევლები და სხვა სამხედრო დავლა. კიევის რაიონში მკაცრი ბრძოლების შემდეგ ფასტოვი დავტოვეთ. ჩერნიგოვის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით 20 ვერსზე ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და მარჯვედ იბრძვის. ორლოვის რაიონში სიწყნარეა. ელეცის რაიონში მოწინააღმდეგეს მოაქვს მკაცრი იერიშები, რომელსაც ჩვენი ჯარი იგერიებს. ვორონეჟის რაიონში მამაცი წითელი ცხენოსანი ჯარი შეუდრეკელ წინსვლას განაგრძობს და ვორონეჟს 10 ვერსით მიუახლოვდა. ქვემო-ხოპერის ჩრდილო დასავლეთით 15—20 ვერსზე ბრძოლაა, გამარჯვება ხან ერთ, ხან მეორე მხარეზეა. ცარიცინის რაიონში დონსა და ვოლგას შუა მოწინააღმდეგემ დიდი ძალებით, ტანკების, ჯავშნიან მატარებლების და ჰაეროპლანების დახმარებით შეტევა დაიწყო. ურალსკის და ორენბურგის რაიონებში სიწყნარეა. ტროიცკის აღმოსავლეთით 240 ვერსზე ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი აიღო. კუსტანაის და კურგანის რაიონებში წითელი ჯარი შეუდრეკლად განაგრძობს უკან დახეულ კოლჩაკის ჯარის დევნას.

**პარიზი.** ოქტომ. 10. გაზ. „ტან"-ი სწერს: საჭიროა საჩქაროდ აღდგენილ იქნეს კონტინენტალური ევროპა. საჭიროა პოლონეთი და ბალშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი რუსული ჯარები, განსაკუთრებით კი იუდენიჩის ჯარი ყველაფრით უზრუნველვყოთ. უნდა ვეცადოთ დიდი ხნით განვსაზღვროთ რუსეთის და პოლონეთის ინტერესები. ამ ზომით შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ საფრთხე.

**პეტერბურგი.** ოქტომ. 15. ლიონში საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფერენციის კონგრესმა 1630 ხმით, წინააღმდეგ 324-ისა, 43-მა თავი შეიკავა, მიიღო საპროგრამო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს სხვილ წარმოებათა ნაციონალიზაციას, აღიარებს ხალხთა თვით გამორკვევის უფლებას, გამოსთქვამს რუსეთის რევოლიუციისადმი თანაგრძნობას, ჰკიცხავს მოკავშირეთა პოლიტიკას რუსეთისადმი და მოითხოვს უკანასკნელთან ზავის შეკვრას.

კერენსკი თავის საუბარში, რომელიც ამერიკულ გაზეთებშია მოთავსებული, აცხადებს, რომ რუსის ხალხი არას დროს არ დასთანხმდება კოლჩაკის ან დენიკინის აღიარებაზე, რომელნიც ძველი რეჟიმის აღდგენისკენ მიისწრაფიან.

სპარსეთის ადერბეიჯანში აჯანყება მოხდა სპარსეთის მთავრობის წინააღმდეგ ინგლისთან დადებულ შეთანხმების გამო.

**ჰელსინგფორსი,** ოქტ. 16. ესტონიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, იტალია ფიქრობს ბალტიის მხრის სახელმწიფოების აღიარებას და საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრას ინგლისი ბალტიის სახელმწიფოების პოლიტიკას ხმა ამოუღებლივ ადევნებს თვალ-ყურს. საფრანგეთმა კი რუსეთის საქმეებში ჩარევაზე საბოლოოდ უარი განაცხადა.

**ლიონის რადიო-სადგურის ცნობები.**

სოციალისტების ლიდერები უკვე აცხადებენ, რომ, თუ არჩევნებზე დამარცხდნენ, ეს იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ ლენინი მართალია და იმედი არ არის ეგრედ წოდებულ მშვიდობიან გზით ხმის მიცემისა. საჭიროა აქტიური მოქმედება. ბევრი ფიქრობს, რომ ბრესტში მომზადებული ამბოხება უფრო ფართე მასშტაბით განმეორდება.

# ახალი ამბები

**დღეს,** საღამოს 6 საათზე, დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **საქართველოს მთავრობის** თავმჯდომარემ პოლკ. გაბბასაგან მიიღო შემდეგი წერილი: თქვენო აღმატებულებავ! მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მე მივიღე იტალიის სახელმწიფო საგარეო საქმეთა მინისტრის შემდეგი შინაარსის დეპეშა: „თფილისში მყოფ იტალიის მისიას. გთხოვთ გადასცეთ საქართველოს მთავრობას იტალიის მთავრობის მადლობა იტალიაში საქართველოს დიპლომატიურ მისიის გამოგზავნის გამო, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. იტალიის მისიის მეთაური პოლკოვნიკი გაბბა".

◆ **ქალაქის მოურავისაგან:** გაუგებრობისა და უნიადაგო უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლათ ამით ვაუწყებ ქალაქის სასარგებლოთ სანიტარული გადასახადის ყველა გადამხდელებს, რომ ვინც ხვედრ გადასახადს დანიშნულ ვადაზე არ შემოიტანს ე. ი. ორ მესამედს ეხლავე და ერთ მესამედს ათ დეკემბრამდე, მათ გადახდება კანონით დაწესებული ჯარიმა 50 პროც. განსაზღვრული გადასახადისა. ვინდოდა რა, რომ რამდენადაც შესაძლებელია საშუალება მიგვეცა გადამხდელთათვის გადასახადის უმტკივნეულო გადახდისა, მე პირადათ ჩემი პასუხის მგებლობით და თანხმათ შინაგან საქმეთა მინისტრის და მთავრობის თავმჯდომარის შუამდგომლობისა, რამდენჯერ გაუგრძელე კანონით განსაზღვრული ვადა გადამხდელებს. მთელი გადასახადი შემოტანილი უნდა ყოფილიყო ათ ოქტომბრამდე. მე დღემდე ე. ი. 17 ოქტომბრამდე კიდევ გავაგრძელე ეს ვადა, მაგრამ ამის შემდეგ ვაფრთხილებ ყველას, რომ არავითარ დათმობას ადგილი არ ექნება, და ის ჯგუფები ან გადამხდელები, რომელთათვისაც ვადა გავიდა ან გავა ყოველ მიზეზს გარეშე გადაიხდიან გადასახადს ჯარიმით.

◆ **საერობო არჩევნები ახალციხე ახალქალაქში.** შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო „თანახმად ინსტრუქციისა, 16-ს იყო დანიშნული ხმოსანთა კანდიდატების სიის შემოტანის უკანასკნელი ვადა. სამაზრო კომისიაში წარმოადგინეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატებმა, საქალაქო კომისიაში სოციალდემოკრატებმა და სომხების სახალხო პარტიამ. სიები გამოქვეყნდა. არჩევნები 26-ს მოხდება. ინსტრუქტორი ჩხენკელი".

◆ **მწერალთა და მსახიობთა ფონდისთვის.** დამფუძნებელმა კრებამ დაადასტურა განათლების სამინისტროს კანონ პროექტი დამსახურებულ მწერალთა და მსახიობთათვის დახმარების აღმოსაჩენათ თეატრის და სხვა გასართობ ადგილების ბილეთებზე განსაკუთრებულ გადასახადის დაწესების შესახებ.

◆ **პენსია დ. კლდიაშვილს.** დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ დაადგინა: სანამ გამომუშავდებოდეს საერთო კანონი პენსიებზე, დამსახურებულ მწერალს დ. კლდიაშვილს დაენიშნოს თვიურათ 2,000 მან.

◆ **სომხეთის ლტოლვილები.** სომხეთის მზრუნველობის მინისტრი სააკიანი აცნობებს თავის წარმომადგენელს საქართველოში, რათა მან გაგზავნოს სომხეთში მესამასე ვერსზე თავმოყრილ ლტოლვილებიდან — 5,000 ლტოლვილი.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 1 განყოფ. (ნაძალადევი) 1) გ. ნათაძისა „პირველყოფილი კულტურა" 2) ს. მესხი „საქართველოს ბუნება". 6 განყ. (ერთობის უბანი) 1) ე. ალშიბაია „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი" 2) ქრ. რაჭველიშვილი „საზოგადოებრივი მოძრაობა რომში" 3) ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები".

◆ **დრამატიული სტუდია.** ქართული დრამატიული სტუდია თავის პირველ წარმოდგენას გამართავს არტისტიულ თეატრში 16 ოქტომბერს. წარმოდგენილ იქნება პიესა „ავგაროზი".

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის** რექტორმა ქალაქის გამგეობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა გამრავლებულ იქნას რიცხვი № 5 ტრამვაის ვაგონების, ვინაიდან ეს ძლიერ საჭიროა სტუდენტებისათვის.

◆ **ტრამვაის მუშებისათვის.** ქალაქის გამგეობამ ქალაქთა კავშირიდან გამოიტანა 546,000 მან. ღირებული ფართალი ტრამვაის მუშებისათვის.

◆ **მუშათა კლუბების კონფერენციამ** 19 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა მუშათა კლუბების საბჭოს წესდება. არჩეულ იქნა საბჭო 5 პირისაგან: ალიხანოვი, თავაძე, ცინოვსკი, ხუციშვილი და ლომბორდია. სარევიზიო კომისიაში: ჟღენტი, წიწვიძე და ბაქრაძე. ამ 5 კაცს მიემატება თითო წარმომადგენელი თითო კლუბიდან და ამ რიცხვიდან შესდგება საბჭო.

◆ **საჭიროა მასწავლებლები:** ყალამშის, გომარეთის, წერაქვის, ხატისოფლის, რატევანის, დუმანისის, სიონის, მიჯის, ვარდისუბნის, რეხის, კაპრეთის და ბალიჭის სახალხო სკოლებში (ბორჩალოს მაზრა). ჯამაგირი თვეში 1200 მანეთი ბინით, გათბობით, განათებით. მასწავლებელს მიეცემა საგზაო ფული სამსახურის ადგილამდე. სურსათის მხრივაც მასწავლებლები უზრუნველყოფილნი იქნებიან. თხოვნების შეტანა და თან დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ვარლამ ბჟრჯანაძესთან (ზ. ქ. გ. საზოგადოების ბინაზე, დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5).

◆ **ტრამვაის ბილეთები მოსწავლეთათვის.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა 3,000 აბონიმენტი გასცეს ნახევარ ფასებში. აქედან სტუდენტობას მიეცემა 600 აბონიმენტი. დანარჩენი კი სხვადასხვა საშუალო და დაბალ სასწავლებელთა მოსწავლეებს.

◆ **ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობა აცხადებს, რომ ზაქარია დავითის ძე ხატიაშვილის ხელმძღვანელობით არსდება მომღერალ ქალ-ვაჟთა გუნდი, მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ. ავლაბარი, კახეთის ქ. № 1, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის ბინა.

◆ **სურათად** გამოვიდა ესკიზი ნოე ჟორდანიას მოხსენებიდან სახალხო გვარდიის ყრილობაზე. ნახატი შესრულებულია ს. შილაკაძის მიერ. გამოცემა კანტორა „განათლებისა". სურათი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და ღირს 5 მ.

◆ **სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის** ყველა განყოფილებებში (სასახლეში), გარდა უქმე დღისა, მუშაობა იწარმოებს დილის 9—2 საათამდე და საღამოობით 6—8 საათამდე. ცნობების მიღება კანცელარიაში შეიძლება დილის 10—1 საათამდე.

◆ **სანდრო მაისურაძის სახელობის კრებული.** სანდრო მაისურაძის ბრძოლის ველზე გმირულათ სიკვდილის წლის თავზე თფილისის პროფესიონალურ კავშირთა—სამკითხველოს გამგეობა (მის სახელობაზე) გამოსცემს რაჟდენ არსენიძის რედაქტორობით „სანდრო მაისურაძის სახელობის კრებულს". „კრებულში" მოთავსებული იქნება: სანდროს ბიოგრაფია, მისი დღიური, დასაფლავების დროს წარმოთქმული სიტყვები და განსვენებულის ამხანაგთა და მეგობართა მოგონებანი და სხვა. სამკითხველოს გამგეობა სთხოვს სანდროს მახლობელ ამხანაგებს და მეგობრებს—დაეხმარონ გამგეობას ამ „კრებულის" გამოცემაში— წერილების, მოგონების და სხვა მასალის მოწოდებით. მასალები მიიღება: თვით სამკითხველოში, (პლეხანოვის ქუჩა № 113), მთავარ ბიბლიოთეკაში, (ნეკრასოვის და ელისაბედის კუთხე № 14), ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციაში (მამადავითის ქუჩა № 3) და ჟურნალ „მუშათა ცხოვრება"-ს რედაქციაში (რუსთაველის ქუჩა № 15 მე-4-ზე სართულზე მე-10 ოთახში). მასალები უნდა გამოიგზავნოს ამა წლის ნოემბრის 1 მდე.

◆ **მე 6 რაიონული** კოლექტივი ს. ს. დ. მ. პ. მადლობას უცხადებს პავლე ხოსიტაშვილს 500 მან. შეწირვისათვის.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

ს. რ. ექიმთა პროფესიონალური კავშირის თფილისის განყოფილების საზოგადო კრება შესდგება ხუთშაბათს, 23 ოქტომბერს, საღამოს სრულ 7 ნახ. საათზე, ერობის შენობაში (რუსთაველის ქ. № 6). დასწრება სავალდებულოა.

— ოთხშაბათს, 22 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე შესდგება სათნოების დების კრება (სასამართლოს ქუჩა № 48).

**პროვინციის ქრონიკა.**

**მარტვილი.** 9 ოქტომბერს აქ მოხსენებები გააკეთეს დამფუძნებელი კრების წევრებმა ივ. გომართელმა და ბ. თევზაიამ.

— ყაჩაღ ხაჟომის მოკვლის შემდეგ დაცემა და საერთოდ ბოროტ-მოქმედება შემცირდა.

— გიმნაზიისათვის მასწავლებლების უქონელობის გამო სწავლა არ სწარმოებს. საზოგადოება უკმაყოფილოა ამ გარემოებით.

# ადერბეიჯანში

**დატუსაღება გაერთიანებულ კავშირში.**

16 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე პოლიციის რაზმი შემოერტყა გაერთიანებულ კავშირის შენობას, სადაც კრება იყო ლითონზე მომუშავეთა სექციის დელეგატებისა. დაატუსაღეს 28 კაცი, რომელთა შორის არის კავშირის თავმჯდომარე. კონუშკინი, მდივანი არუთინიანცი და მდივნის ამხანაგი აპრიატკინი დატუსაღებულები წაიყვანეს პოლიციაში. დატუსაღება მოხდა გენერალ გუბერნატორის ტლეხასის განკარგულებით იმის გამო, ვითომ მათ უნდოდათ „ელექტრონის ძალაზე"— მკვდარი გაფიცვა გამოეცხადებინათ, აგრეთვე აგიტაციისთვის ტელეფონზე გაფიცვის გაგრძელების სასარგებლოდ. ღამე დაკითხვის შემდეგ ისინი გასჩხრიკეს, ზოგ მათგანს ბრალად ედება, აზერბეიჯანის რესპუბლიკაში არსებულ წყობილების წინააღმდეგ აგიტაცია. მუშები მოითხოვენ მათ განთავისუფლებას. („ბეენ.")

**ტელეფონის მოსამსახურეთა გაფიცვა.**

შრომის სამინისტრომ წინადადება მისცა ზიერინგს 2 დღის განმავლობაში მოახდინოს ლიკვიდაცია ტელეფონის მოსამსახურეთა გაფიცვისა, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით სამინისტრო მიიღებს ზომებს.

# უცხოეთი

**საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი შეერთებულ შტატებში.**

მასსაჩუზეს შტატის სენატის დემოკრატიულ პარტიამ გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს ხელშეკრულების დამტკიცებას იმ შემთხვევაში, თუ ის დააკმაყოფილებს შემდეგ სამ მოთხოვნილებებს:

1) ხელშეკრულებამ არ უნდა მიანიჭოს სხვა ხალხებს მეტი გარანტია, ვიდრე შეერთებულ შტატებს. 2) სუვერენიტეტი ამერიკის ხალხის არ უნდა იქნას შეზღუდული. 3) ყველა ხალხებს უნდა მიენიჭოთ უფლება თავიანთ ბედი თვით განაგონ. („ჟურნალ დ'ორიან").

# ჯარის-კაცთა წერილი

ამხ. რედაქტორო! ჩვენ ჯარის-კაცთა ერთი ჯგუფი მოგმართავთ თხოვნით და იმედი გვაქვს შეიწყნარებთ ჩვენს თხოვნას.

ჩვენა ვართ თანამგრძნობი იმ პარტიისა, რომელიც სათავეში უდგია დღეს მთავრობას, ე. ი. ს. დემ. ჩვენ გვესმის რა მოვალეობა აქვს დღეს ჯარის-კაცს და ამიტომ ვცდილობთ ვემსახუროთ რესპუბლიკას და დავიცვათ იგი. მოგეხსენებათ, რომ ჯარში ბევრია წერა კითხვის არა მცოდნენი, უსწავლელნი, სრულიათ გაუგებარნი, მათ უნდათ სწავლა-განათლების მიღება და ასეთ განათლებას კი უნდა გვაძლევდეს მთავრობა. მოგეხსენებათ, რომ ჯარში დისციპლინისა და მთავრობისადმი სიმპატიის განხორციელებისათვის დიდი გავლენა აქვს კულტურულ განმანათლებელ მუშაობას და ასეთი დღემდის უნდა დაწყებულიყო და გაძლიერებულიყო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს ამ მუშაობას და ჩვენს ჯარის კაცებს სწავლა-განათლების საშუალებას მისცემს.

ვთხოვთ ამხ. განს წერილები „ერთობაში" დისციპლინის შესახებ ხშირად დასწეროს ხოლმე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარის კაცთა ცხოვრებაში.

ჯგუფის მონდობილობით ჯარის კაცნი ვანო ბოკვერაძე, ივანე ხნიდაძე და დათიკო აბესაძე.

# სატარიფო პალატა

16 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ი. გოლდმანი.

**სატარიფო პალატის ნაკაზი.**

მუხარინსკის შეაქვს წინადადება, რომ დღის წესრიგში შეტანილ იქნეს საკითხი სატარიფო პალატის ნაკაზის შესახებ.

გოლდმანი ფიქრობს, რომ ვინაიდან სატარიფო პალატის წინაშე სდგას გასარჩევად მეტად სერიოზული საკითხი, ამიტომ მას არ შეუძლია სხვა რაიმე საქმეს, გარდა ამისა, მიაპყრას ყურადღება. თუ სატარიფო პალატამ ვერ შესძლო დასახულ მიზნის მიღწევა, თუ მან ვერ მოაწესრიგა მუშებისათვის საქონლის იაფ ფასებში მიცემა, მაშინ დადგება საკითხი თვით სატარიფო პალატის არსებობისა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ მუშათათვის საქონლის იაფ ფასებში მოსაწოდებლად საჭიროა ფონდის დაარსების შემდეგ გამომუშავებულ იქნეს სატარიფო პალატის ნაკაზი.

**ტარიფების დამტკიცება.**

სატარიფო პალატა, შეუდგა რა დღის წესრიგში დასმულ საკითხთა გარჩევას, დაამტკიცა სამუშაო ფასის შემდეგი ტარიფები:

საკრედიტო დაწესებულების მოსამსახურეთა ტარიფი:

იმ მოსამსახურეთათვის, ვინც ღებულობდნენ 2,000 მ. ზევით, დადგენილ იქნა მომატება 25 პროცენტით, ვინც ღებულობდა 2,000 მანეთამდე 30 პროც., ვინც ღებულობდა 1,500 მ. 35 პროც. და ვინც ღებულობდა 1000 მანეთამდე მათთვის დაწესდა მომატება 40 პროც. ეს მომატება შემოღებულ იქნა 1 აგვისტოდან.

სოგორის ქარხნის მეტყავეთა ტარიფი: დღიური ქირა დადგენილ იქნა 53, 59 და 69 მანეთი.

სამკერვალო სახელოსნოში მომუშავეთა ტარიფი:

ეს დარგი წარმოებისა გაყოფილ იქნა სამ კატეგორიათ. ის მუშები, რომელნიც მსახურებენ პირველ ხარისხის სახელოსნოში, ღებულობენ თვეში 2,200 მან. და ნაჭრობით კი მოსახურავ და პიჯაკში 450 მ., შალვარზე 130 მ. და ჟილეტზე 125 მ. მეორე ხარისხის სახელოსნოში ღებულობენ თვეში 1600 მ. ან და ნაჭრობით—მოსახურავ და პიჯაკში 400 მ., შალვარ 100 მ. და ჟილეტზე 80 მ. მესამე ხარისხის სახელოსნოში ღებულობენ თვეში 1200 მან. და ნაჭრობით კი მოსახურავ და პიჯაკში 325 მან.

სახლში მომუშავენი ღებულობენ ნაჭერში 10—15 მანეთით მეტს.

ამ ტარიფების დაწესების დროს ყურადღება მიექცა იმ დიდ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს ამ სახელოსნოს მუშების მიერ მიღებულ ხელფასსა და იმ ფასს შორის, რომელსაც ღებულობს მკერავი თავის მუშტრებისაგან; რომელიც უდრის კასტიუმის შეკერვაში—2500 მან. დაისვა საკითხი შეკერვაზე ნიხრის დაწესებისა და გამოითქვა სურვილი, რომ ეცნობოს ფართე საზოგადოებას ის ხელფასი, რომელსაც ღებულობენ ამ სახელოსნოს მუშები.

ეპარქიალური სანთლის ქარხნის მუშების ტარიფი: ამ მუშებისათვის წესდება ტარიფი 1500 მანეთიდან—875 მანეთამდე.

ტარიფი ქ. ქუთაისის მკერავთათვის: გამოირკვა, რომ ქუთაისში ასეთ სახელოსნოს მუშათა და მკერავთა შეთანხმებით დაწესებული ტარიფი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვინემ თფილისში, მაგ. იქ ხელოსანი მოსახურავის შეკერვაში ღებულობს—240 მან., პიჯაკის შეკერვაში—180 მან და სხვ.

ტარიფი ქუთაისის თეატრი „რადიუმ"-ის მოსამსახურეთა გაუთანასწორდა თფილისის მეორე ხარისხოვან თეატრის მოსამსახურეთა ჯამაგირს.

თელავის საკრედიტო დაწესებულების მოსამსახურეთა ტარიფი გაუთანასწორდა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა ჯამაგირებს.

ბორჯომის სახელმწიფო მამულის მოსამსახურეთა შუამდგომლობა. ბორჯომის მამულის მოსამსახურეებს შეუტანიათ შრომის სამინისტროში და დამფუძნებელ კრებაში საჩივარი ადმინისტრაციაზე იმის გამო, რომ უკანასკნელი არ აკმაყოფილებს მათს თხოვნას შესახებ მათზე 2 აგვისტოს მომატების გავრცელებისა. ადმინისტრაცია კი ამ შუამდგომლობაზე უარის თქმას ასაბუთებს იმით, რომ ბორჯომის მამულის მოსამსახურეებმა უკვე მიიღეს ორი მომატება მარტიდან, რამაც გაადიდა მათი ჯამაგირი 130 პროცენტით.

სატარიფო პალატის პრეზიდიუმი ამ შემთხვევაში ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ეს შუამდგომლობა აღძრულია მხოლოდ ბორჯომის მამულის მოსამსახურეთა მიერ, რომელთა რიცხვი უდრის 150 კაცს, მაშინ, როდესაც მუშებს, რომელთა რიცხვიც აღემატება 2,000 კაცს, ასეთი შუამდგომლობა არ აღუძრავთ. სატარიფო პალატა, იღებს რა სახეში, რომ ბორჯომის მუშა მოსამსახურეთა ჯამაგირები უთანასწორდება სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთა ჯამაგირს ქ. თფილისისას, რომ გარდა ამისა ისინი სარგებლობენ უფასო ბინით, გათბობა-განათებით, აგრეთვე მათ ეძლევათ დაკლებულ ფასებში სურსათი ახალ-ქალაქიდან და სხვა კუთხიდან და რომ საერთოდ ბორჯომში ცხოვრება უფრო იაფია, ვიდრე თფილისში, გარდა ზაფხულის თვეებისა (აგარაკობის დროს), ადგენს, უყურადღებოთ იქნას დატოვებული მათი შუამდგომლობა. აზრთა გაცვლა-გამოცვლ

ლის შემდეგ დამტკიცებულ იქნა პრეზიდიუმის დადგენილება.

მწარმოებელთა საზოგადოების მეთუთუნეთა სექციის შუამდგომლობა:

მეთუთუნეთა სექციის შუამდგომლობა, რომ ისინი განთავისუფლდნენ ჯარიმისაგან, რომელიც უდრის მუშათა ხელფასისათვის 25 პროც. მომატებას, რაც სატარიფო პალატის მიერ დადგენილ იქნა თუთუნის მწარმოებელთა მიერ ამ ამ ქარხნის მუშებთან სეპარატიულად შეთანხმების გამო, რომლითაც ხელფასი გადიდებულ იქნა 50 პროცენტით წინაამდეგ სატარიფო პალატის დადგენილებისა, სატარიფო პალატის პრეზიდიუმი ფიქრობს, რომ ეს შუამდგომლობა თუთუნის მწარმოებელთა უნდა იქნეს უყურადღებოთ დატოვებული ისევე, როგორც ანალოგიური შუამდგომლობა თუთუნის ქარხნის მოსამსახურეთა მხრივ.

მუხარინსკი აღნიშნავს, რომ ეს შეთანხმება მწარმოებელთა მუშებთან მოხდა უკანასკნელთა ძალდატანებით და რომ ბოლოს ეს შეთანხმება არ ეწინააღმდეგება სატარიფო პალატის პრინციპებს.

აბდუშელი ამტკიცებს, რომ თუთუნის მწარმოებლებმა თავიდანვე განსაკუთრებული პოზიცია დაიჭირეს სატარიფო პალატისადმი, არ აძლევდენ უკანასკნელს არავითარ ცნობებს-ჩვენებებს და სრულებით ანგარიშს არ უწევდნენ მას, მხოლოდ დაჯარიმების შემდეგ დაიწყეს იმის მტკიცება, რომ მათ არაფერი უკანონობა არ ჩაუდენიათ.

ამ საქმეში ორივე მხარე, როგორც მწარმოებელნი, ისე მოსამსახურენი ერთნაირათ დამნაშავე არიან და ამიტომ ღირსნი არიან ამ დაჯარიმებისა, ხანგრძლივ კამათის შემდეგ დადგენილება პრეზიდიუმისა, მეთუთუნეთა სექციის შუამდგომლობის უყურადღებოთ დატოვების შესახებ, მიღებულ იქნა.

წინადადება მუხარინსკისა, რომ სატარიფო პალატას დაედგინა ხელ ახალი გადასინჯვა მის მიერ დაწესებულ დადგენილების დაჯარიმებაზე, ვინაიდან ორატორის აზრით, ამ საკითხის გარჩევის დროს არ იყო საქმის მდგომარეობა ყოველმხრივ საკმარისად გამორკვეული, უარყოფილ იქნა.

ნიხრის დამწესებელ კომისიის წევრთა არჩევა: ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ სატაქსო კომისიაში სატარიფო პალატის წარმომადგენლებათ არჩეულ იქნენ თამაზაშვილი და ბრაილოვსკი, რომელთა მოვალეობას შეადგენს ეცადონ, რომ საქონელზე ფასის დაწესება შეეფარდებოდეს სამუშაო ხელფასს.

(დასასრული იქნება)

## ფედერალისტების საქმიანობა

(გაგრძელება).

(ფოსტა ტელეგრაფის ცხოვრებიდან)

ასე რომ, არავითარ სერიოზულ უთანხმოებას მგელაძესა და გამგეობის შორის ადგილი არ ჰქონია და იგი დაიწყო სწორეთ მას შემდეგ, რაც მგელაძემ „შეურაცყოფა მიაყენა... თავმჯდომარის მოადგილეს". ძაღლის თავი სწორეთ აქ არის დამარხული და აქვე ირკვევა, რომ უთანხმოება კი არა, აქ უბრალო ინტრიგა გაბლდათ, რაშიაც ჩაებნენ გამგეობის ფედერალისტი წევრები და ცდილობდნენ სხვების ჩათრევასაც. „მიუდგომელის" წერილებიდან მკითხველი აშკარათ დაინახავს, რომ ამ ვაჟბატონებს ოლქის უფროსი წარმომადგენილი ჰყავდათ, როგორც თავიანთი ხელქვეითი და ნება-სურვილების აღმასრულებელი; „გამგეობამ დაიბარა", „პირობა დაადებინა", „გამოუცხადა ნებით წასულიყო სამსახურიდან" და მრავალი ასეთი ფრაზები ამას ნათლად მოწმობენ. და აი, როცა ოლქის უფროსმა მასთან ჯამაგირის ავანსათ მოსათხოვათ მისულ დამტარებლებს, ფულის უქონლობის გამო, უარი გამოუცხადა (ამას „მიუდგომელი" შეურაცყოფას ეძახის) და მით გამგეობას მიმართეს, თავმჯდომარის მოადგილემ ლაპარაკის დროს ოლქის უფროსს მედიდურად წამოაყვედრა: „ჩვენ შევასრულეთ თქვენი თხოვნა და დაგითმეთ ოთახი (საქმე შეეხებოდა ოლქის უფროსისავე ოთახს, რომელიც მას დანიშვნამდე გამგეობას დაეკავებია) და ვალდებული ხართ ჩვენს მოთხოვნილებას ყურადღებით მოეპყრათო". ამაზე მან მიიღო სამართლიანი პასუხი, რომ ეს თქვენი მოწყალება არ არის, რადგან ოთახი მე მეკუთვნის და არა თქვენო და რომ თქვენ პირადათ რაიმე შეგნება გქონდეთ, ასეთ შეურაცყოფას არ მომაყენებდითო. აქედან იწყება მთელი ოდისსეია ოლქის უფროსის მოღვაწეობის უვარგისობის შესახებ. გამგეობის 3 ფედერალ. წევრები, რომლებიც მთლიანად შედიოდენ გამგეობის პრეზიდიუმში, შეუდგენ ინტრიგას; პირველ ხანებში კინალამ ზოგი სოციალ-დემოკრატიც აიყოლიეს, მაგრამ, როდესაც საქმე გამოირკვა, მათ ანკესს თავის დროზე ჩამოსცილდენ. პრეზიდიუმსა და გამგეობას შორის იდეიური კავშირი სრულიად მოისპო; ერთ საერთო კრებაზე პრეზიდიუმის წევრი ბერძენიშვილი, როდესაც გამგეობის სახელით მოხსენებას აკეთებდა, სრულიად უსაფუძვლოთ გადასწვდა მგელაძეს; გამგეობამ თავის შემდეგ სხდომაზე ოფიციალურად დაადასტურა, რომ ბერძენიშვილის ამ გამოსვლას არ ვიზიარებთ. ამ იდეიური კავშირის მოსპობას დაერთო პრეზიდიუმის უსაქმურობა. პრეზიდიუმის სამივე ფედერალისტი წევრები გართული იყვნენ თავიანთ პირად საქმეებში (ორი სწავლობდა ქერძო გიმნაზიაში და ერთიც უნივერსიტეტში) და კრებებს ან სულ არ ესწრებოდენ ან ცხადდებოდენ გვიან. არა თუ პრეზიდიუმის ჩვეულებრივ კრებებს, იმ ხანებში მომხდარ საგანგებო კონფერენციის სხდომებზედაც კი ვერ ცხადდებოდენ თავის დროზე. (ერთ ერთ სხდომაზე ბერძენიშვილს კრებიდან შენიშნეს: „თუ კონფერენციის სხდომებს ასე გულცივათ ეპყრობა ბერძენიშვილი, გამგეობის სხდომებს სულაც არ დაესწრებაო; იხ. ოქმი № 5).

აი ყველა ამ გარემოებამ, დიდი მოთმინების შემდეგ, აიძულა გამგეობა გადაეყენებინა პრეზიდიუმი და ეს მისი წმინდა მოვალეობაც იყო. აქ ს.-დ. ქვეკოლექტივის მომიზეზება არაფერ შუაშია და მხოლოდ „მიუდგომელს" შეუძლია, რადგან მან არ იცის კოლექტივების და სხვა პარტიულ ორგანიზაციების დანიშნულება და ნაციონალ-დემოკრატიულის თვალით უყურებს მათ: ალბათ ჯერ კიდევ არ დავიწყებია ძველი ნათესაობა. აქ რომ ჩვენ მას („მიუდგომელს") ავყვეთ და პროფესიებში პარტიულ მუშაობაზე ხელი ავიღოთ, მაშინ უარი უნდა ვსთქვათ ყოველ გვარ პარტიის არსებობაზე.

ასეთი ლოღიკის პატრონი მაინც არ სცხრება, მგელაძის და სხვების მოქმედებას „აკრიტიკებს", სხვის თვალში ნემსს დაეძებს და მასწავლებლურის კილოთი დაასკვნის, რომ მგელაძე ამ უსამართლობათა ჩადენის დროს დარიგებას იღებდა იმ კამარილიიდან, რომელიც თავიდანვე შემოიკრიბა მან თავის გარშემო"-ო. ამ კამარილიით „მიუდგომელს" სურს საბოლოოდ გააბიაბრუოს მგელაძის პიროვნება, მაგრამ იგი განზრახ მალავს ამ „კამარილიის" წევრების გვარებს. ავტორი „კამარილიას" უწოდებს იმ პირდაპირ ხელქვეითებს, რომლებიც თავიანთ სამსახურის მდგომარეობით პირველ ხანებში მგელაძის ახლო მუშაობდენ. შეიძლება ეს ხალხი მართლაც აძლევდა რაიმე ცუდ რჩევებს ბ-ნ ოლქისს უფროსს, მაგრამ ამაში ბრალი მათ ედებათ. მხოლოდ რომ ოლქის უფროსი მათ რჩევას არ მისდევდა, ეს იქიდან სჩანს, რომ ამ „კამარილიის" წევრები დღეს „მიუდგომლებთან" ერთად პირველ რიგში იბრძვიან მგელაძის და სხვების (საერთოთ და სოციალ დემოკრატების) წინააღმდეგ. ეს პირები გახლავან უმთავრესად ი. ჭელიძე, რომელიც ფედერალისტების საარჩევნო სიაში მე 2 ადგილზე იყო გამოჭიმული, დღეს გამგეობის წევრია და ყრილობაზე და პროვინციაში აუარებელი ჭორი დაანთხია და ანთხევს ადმინისტრაციის წინააღმდეგ და რამოდენიმეთ მ. ბ-ლი, რომელიც რწმენით ფედერალისტია და რომელიც ყრილობის დროს კიდეც ჩაითრიეს ამ ავანტიურაში, თუმცა ისე აქტიურათ ვერა. რომ ეს პირები ჰყავს ავტორს მხედველობაში, ეს იქიდან სჩანს, რომ საიდუმლო წერილში სწორეთ ეს პირებია დასახელებული, რომელთა ჩამოშორებას მგელაძეს ურჩევენ. ეს ცხადი ხდება კონფერენციის № 4 ოქმიდანაც, სადაც დელეგატი დუმბაძე, რომელიც ძლიერ ახლოს უნდა იდგეს „მიუდგომელთან", ორჯონიკიძე, ბერძენიშვილი და თვით დღევანდელი ც. გამგეობის თავმჯდომარე ჭრელაშვილი ერთხმად ასახელებენ ასეთად ი. ჭელიძეს და ბრალს სდებენ მას ქუთაისის 48 მოსამსახურეთა სიის შედგენაში, რომელთა დათხოვაც მოუნდომებია მას თავისი პირადი ინტერესებისათვის. აი რატომ არ ასახელებს „მიუდგომელი" ამ გვარებს, მაგრამ მან ისიც არ იცის, რომ „ნემსი ხალთაში არ დაიმალება". ჩაქუჩი.

(შემდეგი იქნება).

### ორიოდე სიტყვა კულტურული მუშაობის შესახებ საქართველოს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებში.

გაზ. „ერთობის" № 233-ში ვინმე კ. ციმბირელი სხვათა შორის სწერს შემდეგს:

„რაც შეეხება კულტურულ განმანათლებელ კომისიას, მოვალეობა დიდი ქონდა, მაგრამ საქმე კი არაფერი გაუკეთებია. მათი მოვალეობა იყო კულტურული განვითარება მუშა-მოსამსახურეებში. მას უნდა მოეწყო ლექციები, უნდა გაეკეთებია მოძრავი ბიბლიოთეკა, ლექციებით და სხვა. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ამხ. ა. ლომთათიძეს გააკეთებია მოხსენება მომენტზე რამდენიმე სადგურზე ამხ. კუპრაშვილმა. ესეც შეიძლება იმისთვის, რომ ყრილობას წარუდგინოს ანგარიში".

ჩვენ არ ვამბობთ, თითქო ბევრი რამ გაგვეკეთებინოს ამ სფეროში, მაგრამ არაა კარგი, როცა ფაქტებს განგებ ამახინჯებენ და არ უნდათ მიაწოდონ საზოგადოებას მართალი ცნობები.

ამ რამდენიმე თვის მუშაობის განმავლობაში რკინის გზის კულტურულ-განმანათლებელმა კომისიამ გააკეთა შემდეგი:

1) მოაწყო რამდენიმე ლექციები ხაზზე. ლექტორებათ იყვნენ მოწვეულნი ჩვენი დემოკრატიის საუკეთესო ძალები.

2) უძღვება ორ გაზეთს „თავისუფალ გზას" და „სვობოდნი პუტ"-ს; ამ გაზეთების შინაარსიც გაუმჯობესებულ იქნა ჩვენი მოწინავე ამხანაგების დახმარებით, რომლებიც სიამოვნებით გვაწვდიან თავიანთ წერილებს. ეს გაზეთები ყოველ კვირა ურიგდება რკ. გზის მოსამსახურეებს.

3) გამოვეცით რამდენიმე ბროშურები რუსულ ქართულ ენაზე პოლიტიკურ და პროფესიონალურ კითხვებზე. ეს ბროშურები უკვე დაურიგდა რკინის გზის მოსამსახურეებს უფასოთ.

4) ჩვენ მოვაწყვეთ მოძრავი ბიბლიოთეკა ვაგონი, რომელიც სისტემატიურათ დადის ხაზზე და აწვდის წიგნებს მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც მოწყვეტილნი არიან ქალაქებს და არა აქვთ შეძლება იარონ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებში. სამწუხაროა, რატომ არ იცის ეს ციმბირელმა.

5) უძღვება კიოსკებისა და ბიბლიოთეკების საქმეს მთელს ხაზზე, ეხმარება რაიონებს წიგნებით, რასაც თანდათან პარტიობით იძენს. ამ სფეროში ძველი ქაოსი აღმოფხვრილია და ბევრი რამ სასარგებლო გაკეთებულა.

6) უწევს მორალურსა და მატერიალურ დახმარებას რაიონებს კლუბების, ბიბლიოთეკების და სხვა კულტურულ დაწესებულებათა გახსნაში. და ამ მხრითაც ამ კომისიის მუშაობას უნაყოფოთ ვერ ჩაუვლია. დღეს სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაზე კარგათ კულტურა-განათლების საქმე ჩვენს რესპუბლიკაში რკინის გზელებს აქვთ.

დაწვრილებითი ანგარიში კულტურულ განმანათლებელი კომისიისა წარმოდგენილი იქნება მომავალ ყრილობაზე და იქ ამხანაგები დაინახავენ, თუ რამდენათ მართალი იყო კ. ციმბირელი, როცა ასეთ სიმართლესთან სრულიათ შეუსაბამო წერილი მოათავსა.

რკ. გზ. ცენტრალური კულტურულ-განმანათლებელი კომისია.

## ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 15 ოქტომბერს შესდგა რკინის გზის სამმართველოს ს. დ. ქვეკოლექტივის კრება. პირველად მოსმენილ იქნა თავმჯდომარის ამხ. ა. რუხაძის დაწვრილებითი მოხსენება ცენტრალურ და თფილისის კომიტეტის, აგრეთვე დამფუძნებელი კრების ს. დ. ფრაქციის მოქმედების შესახებ.

მეორედ სხდომა ისმენს ამხ. ს. თავაძის მოხსენებას რკინის გზელთა ყრილობაზე დელეგატების არჩევნების შედეგის შესახებ. მომხსენებელი ამბობს: არჩევნებს სრულებით არ ეტყობოდა ორგანიზაციული მუშაობა... პარტიის წევრთა გულგრილობის გამო არჩევნებმა ვერც მოგვცა სასურველი ნაყოფი. 1400 კაცში ხმა მისცა მხოლოდ 817, აქედან ჩვენმა სიამ მიიღო 632 და სოც.-ფ—ამ 185 ხმა. ამ რიგად ჩვენ გავიყვანეთ 5 და სოც.-ფედ. კი 2 დელეგატი. ასეთი მოვლენა ჩვენთვის უნდა იქნეს გაკვეთილი და ყოველივე ზომა უნდა მივიღოთ არ განმეორდეს ის მომავალში. ამასთან მომხსენებელი უმატებს, სამწუხაროთ არჩეულ ამხანაგებში არ მოყვა რკინის გზის საავადმყოფოს წარმომადგენელიო. საავადმყოფოს შესახებ დადგენილ იქნა: მომავალ მორიგ სხდომაზე მოწვეულ იქნან ყრილობაზე არჩეული ამხანაგები წინასწარ სათათბიროთ. ამხ. თავაძის მოხსენებით დადგენილ იქნა: შეერთებულ იქნას სამმართველოს ზოგიერთი დარგები და ამის მიხედვით დაარსებულ იქნას პასუხისმგებელი იაჩეიკები, რიცხვით 8. ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად არჩეულ იქნა კომისია სამი წევრისაგან შემდგარი. ამხ. კაპარავას ქვე-კოლექტივი ავალებს დაუყოვნებლივ ჩაიბაროს ძველი კოლექტივიდან ყველა საქმეები, თუნდაც მოუწესრიგებლადაც. მოსმენილ იქნა პარტიის ერთ ერთი წევრის განცხადება, რომელსაც ისევ კინკლაობის სუნი უდის—სხდომამ არ მოისურვა ამ საქმის გარჩევა და მიუთითა მომჩივანს სამედიატორო სასამართლოზე. მცირე კოლექტივი აცხადებს ამხანაგთა საყურადღებოთ, რომ თუ აქნობამდე ასეთ საკითხებს ადგილი ჰქონდა კოლექტივში—მომავალში ეს მას მიაჩნია დაუშვებლად. მდივანი.

## მუშათა შორის

თფილისის საქონლის სადგური. 18 ოქტომბერს თფილისის საქონლის სადგურში პროფესიონალური კავშირის გამგეობის თაოსნობით მოწვეული იქნა სადგურის მუშების და მოსამსახურების საერთო კრება. კრებას დაესწრო დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. გრ. დიმიტრის ძე ცინცაბაძე. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ილარიონ გიორგაძე. ამხ. წითლიძე აცნობს კრებას შეკრების მიზეზს დღის წესრიგში იყო დასმული: ჯამაგირების მომატება და სურსათის საკითხი. ჯამაგირების საკითხის შესახებ ინფორმაციის სახით ლაპარაკობს რაიონული კავშირების თავმჯდომარე ამხ ილარიონ გიორგაძე. შემდეგ ლაპარაკობს დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. გრ. ცინცაბაძე. ის აცნობს ხალხს სატარიფო პალატის და მთავრობის ნაბიჯებს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთათვის სურსათის შეძენის საქმეში, რისთვისაც არის გადადებული 50 მილიონი მანეთი. ილაპარაკეს აგრეთვე სხვებმაც. კამათი იწვევდა ჯამაგირების სიმცირე და სურსათის მოუწესრიგებლობა. მუშათა მდგომარეობა ნივთიერის მხრივ მეტად გაჭირვებულია. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ, თფილისის საქონლის სადგურის მუშები, ვიმყოფებით ეკონომიურათ გაჭირვებულ მდგომარეობაში. ჩვენ ნაჩვევი ვართ სიმშილს, სიცივეს, სიტიტვლეს, მაგრამ დღეს მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. ჩვენ უკანასკნელათ მოვითხოვთ მოგვემატოს ჯამაგირები". კორესპონდენტი.

## პროვინცია

ახალ სენაკი. დღეს ყველას შეგნებული აქვს სახალხო სახლის დიდი საჭიროება და მნიშვნელობა საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში. მის დაარსებას მით უმეტეს მეტი მნიშვნელობა ეძლევა ისეთ სამაზრო ცენტრში, როგორიც არის ქ. ახალი-სენაკი, რომელსაც ფრიად ღრმა ვალდებულება აწევს თავის მაზრის შედარებით ჩამორჩენილ მცხოვრებთა წინაშე. ცხადია, სახალხო სახლი სენაკის მაზრის დემოკრატიას ფართე სარბიელს გაუხსნის. ეს კარგა ხანია ქონდათ შეგნებული სენაკის მესვეურთ, მაგრამ სხვადასხვა პირობების ზეგავლენით სახალხო სახლის დაარსების საქმე დაგვიანდა. სენაკის სამაზრო ერობის გამგეობამ ამ მხრივ გადადგა გაბედული ნაბიჯი. წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია და სახალხო სახლის აშენების საქმეს საძირკველი ჩაეყარა. საერობო გამგეობამ ამ დღეებში გამოაცხადა კონკურსი შენობის საუკეთესო პროექტის შედგენისათვის. გარდა ამისა სახლისათვის შეძენილია სხვადასხვა ტეხნიკური საჭიროებანი. შესდგა გამგეობასთან მუდმივი საამშენებლო კომისია. მუშაობა დაწყებულია და მის გასაგრძელებლათ მოვუწოდებთ სენაკის შეგნებულ ნაწილს მხათ დაუხვდეს ამ საქმის ინიციატორებს. ყველა ვალდებულია გაიღოს თავისი წვლილი ამ ყველასათვის საჭირო საქმის რიგიანათ მოსაგვარებლად. კ—ო.

გორის მაზრა. 18 სექტემბერს, ს. მეჯვრისხევში გაიმართა სახალხო კრება. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა შაქრო ჯავახიშვილი. დამფუძნებელი კრების წევრმა ვ. ტატიშვილმა გააკეთა მოხსენება დამფუძნებელ კრების მოღვაწეობის და სამართველოს შესახებ. ხალხმა შესჩივლა დეპუტატს ადგილობრივი აგრარული კომისიის უკანონო მოქმედებაზე, რაზედაც დეპუტატმა აღუთქვა სათანადო დახმარება.

15 სექტემბერს მოხდა მთა-ოსეთის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც ერთხმად დაამტკიცა წინანდელი არჩეული ეროვნული საბჭოს შემადგენლობა და დაუმატა ამხ. სანდრო ფარნიევი. ამ საბჭოს შემადგენლობაზე ოსი ნაციონალისტები და მათი ამყოლ-დამყოლნი იძახოდენ: „ეს რა საბჭოა გენერალი ყარალაშვილისა და კომისარ ქარცივაძის შიშის ქვეშ არიან არჩეულნიო". მიუხედავათ მათი ასეთი რწმუნებისა, ყრილობამ ერთხმად აირჩია ძველი შემადგენლობა საბჭოსი. მთა ოსეთის დ მოკიდებულება საქართველოსადმი სრულიად გამოიცვალა, მას შემდეგ, რაც რუსეთის შავმა გენერალმა დენიკინმა დაიპყრო მათი მონათესავე ოსებით დასახლებული კავკავი და ოსობა დარწმუნდა შავ გენერლის შავ საქმეებში, საბჭოს თავმჯდომარე ცნობილი ნაციონალისტი ფილიევი თავისი კამპანიით იძულებული შეიქნა გასცლოდა მთა ოსეთს, მან თავი შეაფარა დენიკინის სამფლობელოს და იქაურ მთავრობასთან ერთად თანამშრომლობს. აღსანიშნავია ის, რომ ეხლა მთა-ოსეთში (ჯავის ხეობაში) ძარცვა გლეჯას, ყაჩაღობას და ქურდობას ადგილი არა აქვთ და კომისარ გასიევსაც ნდობა აქვს დამსახურებული, როგორც ხალხის, ისე ადმინისტრაციის თვალში.

— გორის სამაზრო ერობის ტეხნიკური განყოფილება, აწყობს ყველა თემში საფოსტო განყოფილებებს და ზოგიერთ თვალ საჩინო პუნქტებში სატელეგრაფოსაც, ამასთანავე ტელეფონის ქსელს აბამს ყველა თემთან, გორის მაზრაში კი 20 თემია.

— გორის მაზრის ერობის ტეხნიკურ განყოფილებას განზრახვა აქვს გამოიყვანოს მდინარე დიდი ლიახვიდან სარწყავი წყალი, რომელიც მორწყავს ცნობილ ტირიფონას ველს და საერთოდ დიდი ლიახვის მთელ მარცხენა მხარეს, ვიდრე მდინარე ლეხურამდე, სივრცით 15 ათასი დესეტინა მიწას. ი. ქუტირელი.

## წერ. რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ალაგი დაუთმოთ თქვენს გაზეთში შემდეგს: „გაზეთ „ახალი ნაკადის" 44 №-ში მოთავსებულია წერილი გ. სოფიოს შვილისა, რომელიც ეხება ჩემს მოქმედებას პროფესიონალურ კავშირებში და მწამებს ცილს. ამის გამო ვიწვევ მას სამედიატორო სასამართლოში. ჩემის მხრივ მედიატორებათ ვასახელებ ს. დომბროვსკინიძეს და ო. ლიცაბიძეს. ვაძლევ მას ერთი კვირის ვადას დაასახელოს თავისი მედიატორები, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც რედაქციას, ისე გ. სოფიოს-შვილს მივცემ ოფიციალურ სასამართლოში.

თფილისის პროფესიონალური კავშირების საბჭოს თავმჯდომარე ალფეზი ხელაძე.

ამხ. რედაქტორო! გიახლებთ ათას მანეთს, რომელიც გადასდო ს. შუხუთის კოოპერატივის „მომჭირნეობის" წევრთა 3 ივნისის საზოგადო კრებამ რესპუბლიკის ფრონტს სასარგებლოთ. გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ*). გამგეობა.

## ფონდი

მივიღეთ სამსონ ფილიპეს ძე პაპავასაგან გაზ. „ერთობის" ფონდის გასაძლიერებლად 60 მანეთი გარდაცვალებულ გერასიმე პეტრეს ძე პაპავას ხსოვნის აღსანიშნავათ.

*) რედაქციამ ფული მიიღო.


## განცხადებანი

ექიმი ივ. გოკერია
იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ. 2744)

დოქტორი როსტომ ბაქრაძე.
სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავადმყოფთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავადმყოფოში ნაზერენაია ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ბ. მეხრაბაშვილი
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვის და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X1 სხივებით, დიდი სალენიოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, დარიგებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

კბილის ექიმი
მ. მ. ჩიქაშუა-მსაქიანი
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

ექიმი ნ. დ. ტუღიაშვილი
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და საბავშვო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი ა. ლ[illegible]
შინაგანი ავადმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით [illegible] № 5 [illegible] დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მიხა.
ნერვიული, შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი. ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი, ჰიპნოზი შთაგონება. ავადმყოფების მიღება დილის 10 ნახ.—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ. კვირაობით და ხუთშაბათობით საღამოობით ავადმყოფები არ მიიღებიან. მიხეილის ქ. (პლეხანოვისპრ.) № 111 ტელ. 13—42.

ექიმი დ. ბ. ჭანტურიძე
[illegible] შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა ავადმყოფებს დილის 12—1ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ექიმი ი. ნიჟარაძის ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული ლაბორატორია
იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროქეტები და სხვა. შარდის, განავლის, ნახველის, რძის, ლორწოს, ჩირქის, ბერბიშის ტვინის სითხის, კუჭის სითხის და სხვა. ამზადებს აუტოვაქცინებს. 26 მაისის (ოლღას) ქუჩა. გაგაში შესასვლელი № 3. მისაღები დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი ზახარიას ჯაფიძე
იღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი დ. მ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

დოქტორი ი. ი. ხაზარაძე.
სისხლის გამოკვლევა სიფილისისაზე (Wasserman'-ის რეაქცია) ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიაზე, ტიფზე, გონოკოკზე და სხვ. პირადათ ნახვა დილის 8 ნახ.—10 ნახ. საათ. საღ. 5—7 საათ. დიფტერიტზე მიიღება დილის 8 საღ. 8 საათ. გრიბოედოვის ქ. № 12 ტელეფონი 16—82.

ექიმი ნ. ბ. ზუბადე
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (ეშზაპუნება „606" და „914"-ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი დ. ა. ხარაძიძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 87. ავჭალის მუდიტორიის ახლო.

დოქტორი მ. ბოლდუშიძე.
თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე დ. საღ. 4—7-დე ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი ქალი რ. ბ. ზუზია-სააკაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იღებს ვენერიულ დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი იოსებ რაფიელის ძე ცინცაძე
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი ა. ი. ჩუთლაშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გორჯსა კვ. სოსა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი ა. დ. ძიძავა
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914", მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნიუ"-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—29.

გამოვიდა და იყიდება
## სოფრონ გლახაშვილის
თხზულებანი: პიესები, მინიატიურ. იგავები და მოთხრობები 1 ტომად—წერაკითხვის, „ცოდნის" და „განათლების" მაღაზიებში. იქვეე იყიდება ქართ. ბუხალტერია დაეთმობათ 12 პროც. გამოკლებით. სოლდატებს, პირთ, სტუდენტებს, მუშებს და ჩვენ ჯარისკაცებს, რომლებმაც უნდა მიმართონ საშეერთო ბანკში ს. ტარუაშვილსა. (2740—2—1)

## ქართულ ლატარიის გამგეობა
ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ლატარიის გათამაშება შესდგება 2 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში ბილეთი ღირს—25 მან., კუპონი—5 მან. პირველი მოგება 100,000 მან. მეორე მოგება 50,000 მან. გამგეობის კანტორა ღიაა დილის 9—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა (ყოფილი სასახლის ქ.) № 5, ტელეფონი 7—61. (5. 8—3)